ყოველდღიური გაზეთი — ფასი 7 კაპ. — შაბათი, 28 იანვარი, 1917 წ. № 22

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი [illegible] გვერდზე პეტიტის ტრიქ. 30 კ., უკანასკნელზე—20 კ. [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივლისისთვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.

რედაქტორი: ხანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ივანე ალექსანდრეს ძე ხახუტაშვილი, მარიამ დავითის ასული და ნატალია ლევანის ასული ხახუტაშვილებისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის მეუღლისა და მეორეთა რძლის

ნინო ნინიას ასულის
ხახუტაშვილის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება იანვრის 28, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.
წირვა დაიწყება დილის 9 ნახ. საათზე.
(1—492—1)

დილის წარმოდგენა
ახალ კლუბის შენობაში
წარმოდგენა
ი. ზარდალიშვილისა.
კვირას, 29 იანვარს ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
კაიუს-გრაკხუს
ტრაგ. 5 მოქ. მონტისა.
კაიუსის როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია ✦ დასაწყისი დილის 12 ს.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი ⁂
(5—532—4)

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბერლინსკის ქ. № 4. (თ —302—)

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
კ. ი. მჭარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ვასწავლი
ქართულ სიმღერა-გალობას
და
ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის.
მიღება და ჩაწერა
კავსაძესთან
მისამართი: ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.
სამშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6—9 ს.-დე.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ეფლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

თბილისის რკინის გზის სადგურზე
დავკარგე
უვადო პასპორტი, ვინაობის მოწმობა ჩემი სურათით და ჯარიდან დროებით დასათხოვნი ბარათი.
მპოვნელს ვთხოვ მომიტანოს თბილისის საბარგო სადგურის (товарная станція) კონტორაში. იკითხონ ევგენი ჩიგოგიძე. გასამრჯელოს მიიღებს.

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო კვირეული ჟურნალი
თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)
№ 5 შინაარსი:
1, მეთაური—ა) სამშობლოს სადიდებლად! ბ) ნიკო გოცირიძე,
2, ივ. გომართელი—აქტიორები და „აიაკ-სოზი“.
3, ალ. რიონისპირელი—და ვწყევლი, ვწყევლი.
4, გ. ქუჩიშვილი—ჩემი ფიქრები,
5, დია ჩიანელი—ოცნების სამეფოში: ბრმამ-უნჯი.
6, ნ. მიწიშვილი—პარადოსკები,
7, ილ. ფერაძე—იდეალი, ნადსონიდან,
8, ლადო ბზვანელი—სახელმძღვანელოები ქართული ლიტერატურისა და ისტორიის.
9, დიმიტრი უიფიანი—წრთვნა სულისა, მისი ხელნაწერიდან გამოკრებილი ნინო ყიფიანის მიერ П.
10, დავ. კილოსანიძე—მოკლე იყო ზღაპარი!
11, მ. ველისციხელი—⁂ ლექსი.
12, იოსებ არიმათიელი—ის. ნადსონი
13, გრ. საქარიქედელი—მოსე მწერალი
14, გ. კვიკვიძე—დაგვიანებული ხმა.
15, ს ხიობა, წვრილი ამბები, სურათები.
[illegible] წლით 8 მ., ნახევარი წლით—4 მ. 50 კ., ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, თბილისში, მადათოვის კუნძულზე, № 1. ფოსტით—Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. (1—493—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
შაბათს, 27 იანვარს,
რუსული წარმოდგენა
სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
(1—538—1)

## თავისუფალი ვაჭრობა თუ მტკიცე ფასები?

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ დროებით მაინც იყოს შესაძლებელი დამშეულ რუსეთის გამოკვება... საუკეთესო დაპირებებით და იმედებით. თორემ იმ მასალის შოვნა, რომელიც აქამომდე სიმშილის საწინააღმდეგო ერთად ერთ წამლად იყო აღიარებული, მეტად გაჭიანურდა, თუმცა ყოველთვის გვარწმუნებდნენ და ამას ეხლაც გვიმტკიცებენ, რომ რუსეთი ყელთამდე სავსეა პურითა და ეხლა რომ მას პური უცხოეთში არ გააქვს, ამით ევროპის სახელმწიფოები იმშევა და რუსეთი კი დარჩება მაძღარი და კმაყოფილი. სხვა ქვეყნების ამბავს რა მოგახსენოთ, გვგონია, რომ არც ჩვენი მტრები უნდა იხოცებოდნენ სიმშილით და არც მოყვრები, და ჩვენი ხალხი კი რომ პირდაპირ დამშა რუსეთში—ამ უდიდეს პურის ბეღელში, ამას ნათლად ვხედავთ.

როგორ მოხდა ეს საკვირველება, ამას ეხლავ მოგახსენებთ. დიდის ხნის ამბავი არ გახლავსთ ომი რომ დაიწყო და საზოგადოებამ ომითა და საზღვრების დაკეტვით გამოწვეულ მდგომარეობის გამორკვევას რომ მიჰყო ხელი, აღმოჩნდა, რომ რუსეთს მოეპოებოდა აუარებელი პური, გერმანეთისა და ინგლისის გამოსაკვებად რომ უნდა გაეტანა. ეხლა ეს მრავალი ასეული მილიონი ფუთი პური რუსეთში დარჩა. ბევრს კიდეც ეშინოდა, რუსეთში პური მეტად გაიაფდებოდა და მით სოფელი დაზარალდებოდაო. იმასაც კი ჩივოდენ, ყველას პური გადასაყრელად ექნება, ვაი თუ არ გამოიზოგონ და უსარგებლოდ დახარჯონო. ამ რიგად შეიქმნა სასურსათო საქმე, რომელსაც მთავრობა ჩვეულებრივის მზრუნველობით მოეკიდა და მის მოსაწესრიგებლად, როგორც ეს ჩვეულ შემთხვევაში ნაცადი ჰქონდა, ბორკილები შემოიღო.

ახალი სასურსათო გეგმა მთავრობას მეტად ნათლად და მეტად მარტივადა ჰქონდა წარმოდგენილი. გასაყიდია აუარებელი პური, მაგრამ არ არის სასურველი, რომ მისი ფასები ან ძლიერ დაეცეს, ან კიდევ დიდათ აიწიოს ამ ფასებმა. მთავრობა აწესებს საქონელზე „მტკიცე“ ფასებს და ამ ფასების აქეთ თუ იქით გადახვევისთვის დიდის სასჯელით ემუქრება ყველა ურჩსა და წინააღმდეგს. ეს „მტკიცე ფასები“ არამც თუ მთავრობის პირებმა, თვით სახელმწიფო საბჭომ, სახელმწიფო სათათბიროომა და ერობებმაც მოიწონეს და მოითხოვეს ეხლა დაწესება ყოველ გვარ საქონელზე. ასე წარმოიდგინეთ, თვით სავაჭრო წრეების წარმომადგენლებმაც კი დაადასტურეს ეს ახალი სასურსათო პოლიტიკა და მტკიცე ფასების შემოღება, რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების დალაგების და კალაპოტში ჩაყენების ერთად-ერთ საშუალებად აღიარეს.

სულ ცოტა დრო შეიქნა საჭირო იმისთვის, რომ ალებ-მიცემობაზე ასეთი ძალდატანების მავნებლობა გამომჟღავნებულიყო. რუსეთის ბაზარზე ფულისა და საქონლის ურთიერთი დამოკიდებულება იცვლებოდა დღითი-დღე და ეს დამოკიდებულება სხვა და სხვა გვარი იყო ამ თვალგადუწვდენელ იმპერიაში. ამავე დროს გამოდიოდა მთავრობა და ცდილობდა ტაქსებითა და მტკიცე ფასებით მოეწესრიგებინა ალებ-მიცემობის საქმე და საქონლის ფასების ზრდა შეეჩერებინა. მტკიცე ფასები დაწერილი იყო ქაღალდზე და საქონელი კი ლპებოდა საწყობებში, ან და იყიდებოდა ისე, როგორც მყიდველს და გამყიდველს მოეხერხებოდათ. მალე საზოგადოებამაც შეაქცია ზურგი ამ „მტკიცე“ რეფორმას, რაკი დარწმუნდა, რომ ის უძლური და მავნებელი იყო. პრესასა თუ სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ეს „მტკიცე“ ფასები უბედურებად მოევლინა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებას, რომ ის ზღუდავს თავისუფალ ვაჭრობას და ხელ-ფეხს უკრავს კერძო თაოსნობასა და ინიციატივასო.

განგებამ ისმინა საზოგადოების ვედრება და რუსეთს მოევლინა ახალი მინისტრი—რიტტიხი, რომელმაც სასტიკი ომი გამოუცხადა ამ „მტკიცე“ ფასებსა და ძალდატანებით ზომებით შეზღუდვას ალებ-მიცემობისას. მან ამისთვის მრავალი ბრძანება და „უკაზები“ გამოსცა და, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში რიალი ცხოვრება უცვლელი და მოდუნებული, თორემ საზოგადოების [illegible] შეხედულება ფრიად მალე იცვლება.

ვინც ძველ პოლიტიკისთვის თავგანწირულად იბრძოდა და მხოლოდ ვაჭრების სპეკულიაციაზე და ალვირახ ნილობაზე ბჭობდა და, ამის გამო, კიდევ და კიდევ ახალ შეზღუდვებს თხოულობდა ალებ-მიცემობისათვის, ვითომც და სასურსათო საკითხის მოსაწესრიგებლად, ეხლა რიტტიხის რეფორმას მიეკედლენ და ძველი სისტემის უვარგისობა სავსებით აღიარეს.

დაიწყო შემზღუდავ ზომებისაგან განთავისუფლება და ბორკილის მსხვრევა რუსეთის ალებმიცემობისა. არც ამან გასტანა დიდხანს. როგორც მოგეხსენებათ, ამ ომის დროს ცხოვრება და ჩქარებულის ტემპით ვითარდება და პოლიტიკა, თუ მართვა-გამგეობის სისტემაც იცვლება. შეუძლებლად აღიარეს უგანაჩენო ძალდატანებისაგან განთავისუფლება რუსეთის საეკონომიო ცხოვრებისა და რუსეთის ვაჭრობასაც ხელებზე შეხსნილი ბორკილი ფეხებზე დაადეს. შემოიღეს საქონლის გატანის აკრძალვა ერთი გუბერნიიდან მეორეში, მთავრობის ნებადაურთველად და მის მაგიერ შედგენილ „რაზვერსტკის“ გარეშე. ამ ახალმა ზომამ ის შედეგი გამოიღო, რომ მთავრობა შეუდგა იმის ანგარიშს, თუ რომელ გუბერნიიდან რამდენი საქონლის გამოტანა შეიძლება და ქალაქები აქ მომდესაც უპუროდ და უშაქროთ დარჩნენ. პური კი რუსეთში თურმე ბევრია. ზოგიერთ გზებზე დაგროვილია ათასობით ვაგონები, პურით დატვირთული, და არა თვეები, არამედ წელი და მეტიც. დგას თურმე ეს მთავრობის სალ პოლიტიკისა და განკარგულებათა წყალობით დასალპობად გამზადებული სიმდიდრე.

ამგვარი ნაყოფი გამოიღო მთავრობის სასურსათო პოლიტიკამ. სხვა მეომარ სახელმწიფოთ პური მუდამ საძებარი ჰქონდათ, და, მიუხედავად ამისა, იმათ, ამ საშინელ ომის დროსაც შესძლეს უცხო ქვეყნებიდან პური შემოეტანათ და ამ სახელმწიფოში ხალხი სიმშილსა და სასურსათო გაჭირვებას გადაერჩინათ.

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში კი, ალბად კიდევ დიდხანს გასტანს დავა და კამათი იმის შესახებ, თუ რა უფრო გონიერი და საფუძვლიანია—სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად—თავისუფალი ვაჭრობა, კერძო ინციატივისა და თაოსნობის განვითარება, თუ „ტაქსებისა“ და „მტკიცე ფასების“ შემოღება.

ე. მალი.

## ქართული პრესა

გაზეთ „სამშობლოს“ 26 იანვრის ნომერში ბ-ნი თორაძე თავის მეთაურ წერილში ეხება სოციალიზმსა და ჩვენს ეროვნულ ინტერესს. ავტორი აღნიშნავს სოციალიზმის დოკტრინის უაღრესად კლასიურ ხასიათს, იმას, რომ სოციალიზმი მოძღვრებაა კლასთა შორის შეურიგებელი ბრძოლისა და შეხლა-შემოხლისა. იგი ამბობს, რომ თუ სოციალიზმი სოციალ-ეკონომიურად დაწინაურებულს და პოლიტიკურ-ეროვნულად ნორმალურად მოარსებე ქვეყნებში ახალ ძალას ჰქმნიდა და ჰკაზმავდა და არაფერს სახიფათოს არ წარმოადგენდა, ჩვენში პირიქით, სადაც ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრება დაშლილია და ეროვნება გაფანტული და შემოუკრებელი, სოციალისტური მოძღვრება ჩვენს ეროვნულ დაშლილობას კიდევ უფრო აღრმავებდა და სახიფათოს ხდიდა. თვის წერილს ავტორი ასე ათავებს:

სოციალისტურ აზროვნების გაბატონებამ ორნაირი ზარალი მოგვაყენა.

პირველ ყოვლისა მისმა დაჟინებულმა და შეუწყვეტელმა ქადაგებამ, კლასთა და წოდებათა შორის შეურიგებელ და მუდმივს მტრობა შუღლის შესახებ, დაქსაქსა და ერთმანეთს დააშორა, ისედაც დაქსაქსული და დაზორებული ინტელიგენციის სხვა და სხვა სოციალური კატეგორიები; დღევანდელ დროს, როცა ასე საჭიროა ერის შემადგენელ ყველა ელემენტების მობილიზაცია საერთო ეროვნული საქმის დასაცველად, მეტად საძნელო ხდება სოციალისტურ პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფ ხალხისა და ინტელიგენციის შეკავშირება და შეთანხმებულათ მოქმედება. არა ნაკლებათ საზარალო შეიქნა ქართველი ეროვნებისათვის ინტერნაციონალური პრინციპი, ხალხთა შორის ძმური სიყვარულის და დამოკიდებულობის ქადაგება იმ დროს, როცა ჩვენი ხალხის და ინტელიგენციის მთელი ძალ-ღონე და ყურადღება ამ მაღალი პრინციპის განხორციელებისკენ იყო მიქცეული. ჩვენი პრაქტიკულ ხასიათის მქონე მეზობელი შესანიშნავათ სარგებლობდა ჩვენი გამოუცდელობით და ბავშური გატაცებით; იგი ვაშის ძახილით ამხნევებდა და აქეზებდა კაცობრიობის კეთილ-დღეობ სათვის მებრძოლ—ჩვენს გულუბრყვილო ინტერნაციონალისტებს.

თვითონ-კი თან და-თან წინ მოიწევდა და საფუძვლიანად მკვიდრდებოდა უპატრონოთ შთენილ ქვეყნის მიწა-წყალზე.

ეს პროცესი, უცხო ძალის ლტოლვა ჩვენი მამა-პაპის სისხლით გაპოხიერებულ ტერიტერიაზე დამკვიდრებისათვის, დღესაც არ არის შეჩერებული; მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ გამოფხიზლებული ქართული ეროვნული თვითშეგნება მას დარაჯად დაუდგება და არ მისცემს საშუალებას განვითარდეს და გაშალოს ფრთა.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელ დღეს გერმანეთის ბლოკადამ უკვე თავისი სუსხი სახე დაგვანახვა. ერთი დღის განმავლობაში მოპირდაპირის წყალქვეშა ნავებმა 17 გემი დაღუპეს. მათს შორის 15 გემი ინგლისელებისაა. უეჭველია, შემდეგში გერმანელები უფრო გააძლიერებენ თავიანთ მოქმედებას და მოკავშირეებს ასე თუ ისე საქმეს გაუჭირებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც უილსონის ნოტამ მოახდინა შესაფერისი გავლენა გერმანეთზე. რაც შეეხება ნეიტრალურ სახელმწიფოებს, მათ პირდაპირ განაცხადეს, ამერიკის გამოსვლას არ მივემხრობით და ჩვენვე მოვაგვარებთ ჩვენს საქმესაო. ასეთი ნაბიჯი შვეციისა, დანიისა, ჰოლანდიისა და ნორვეგიისა, ცოტა არ იყოს, გერმანეთის სასარგებლოდ აბრუნებს ამერიკის გამოსვლას, რომელსაც ახლა ერთგვარად უკვე ღირებულება ეკარგება. როგორც უნდა გათავდეს ამერიკის გამოსვლა, ომიც რომ მოჰყვეს, თუ ევროპის ნეიტრალური სახელმწიფონი კვლავ ნეიტრალობას დაიცავენ, გერმანეთისათვის მაინც და მაინც ამერიკა ისე საშიში აღარ იქნება.

ბრძოლის ველზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა-რა. აღსანიშნავია მხოლოდ ისა, რომ რუმინეთის ასპარეზზე სროლა გაჩაღებულა.

X.

## ომის დეპეშები

27 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მტრის მფრინავმა იაკობშტადტის მიდამოებში ყუმბარები ჩამოჰყარა, 7 ჯარისკაცი მოკლა, 8 დაიჭრა. ჩვენმა ორმა მფრინავმა დაბა კობი-ნიკში, ნაროჩის ტბის ჩრდილოეთით, ყუმბარები დააყარეს მტრის საფრენების სადგურს. კირლი-ბაბას ჩრდილო-დასავლეთით წინ წაწეულ მტრის სანგრებზე იერიში მივიტანეთ. მოპირდაპირემ სროლა აგვიტეხა და ნაღმები აგვიფეთქა, მაგრამ ჩვენი მეომრები ამონათხარ ორმოში შეიჭრნენ და დაიპყრეს; მტრის ორმა როტამ იერიში მოიტანა ამ ადგილის დასაბრუნებლად, მაგრამ უნაყოფოდ.

**რუმინეთის ასპარეზზე** სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** გუმიშ-ხანის სამხრეთ-დასავლეთით 25 ვერსზე, ს. საფქერთან ოსმალების ორმა როტამ შემოგვიტია, მაგრამ უკუვაგდეთ.

### საფრანგეთი.

26 იანვარი.

**პარიზი.** დღის ოფ. ცნობა. ლორანში, ამბერმენილის მიდამოში გერმანელებმა ცხარე სროლის შემდეგ საღამოთი ჩვენს წინწაწეულ სანგარს შემოუტიეს, მაგრამ ისევ გავდევნეთ დაპყრობილ თხრილებიდან და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მაასის მარჯვენა ნაპირას, პარუას ტყეში ხელთ ვიგდეთ 20 ტყვე.

მტრის 3 საფრენი ჩამოვაგდეთ. გერმანელმა მფრინავებმა დენკერკს ყუმბარები დააყარეს ღამის 11 საათზე. მსხვერპლი არა ყოფილა, არც დანგრეულა რამე.

### ინგლისი

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელებმა დასტოვეს სოფელი გრანკური, რომელიც თავისი მოსაგრიეზელი სიმაგრეებით ჩვენ დავეპყრეთ.

გუშინ გერმანელების 3 საფრენი დავაზიანეთ და იძულებული გავხადეთ დაშვებულიყო. ჩვენ 2 საფრენი დაგვაკლდა.

### ლლოიდ ჯორჯის სიტყვა.

**ლონდონი.** ვესტმინსტერის ცენტრალ პალატაში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: სხვა მეომარ დიდ სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე ნაკლები ჯარისკაცი ინგლისმა გამოიყვანა. საფრანგეთმა, მაგალითად, ყოველ ას მამაკაცზე $16^1/_{10}$ უკვე გაიყვანა ჯარში. ჩვენ მსხვერპლს როდი ვერიდებით, ჩვენი ფლოტი ბევრ ცოცხალ ძალასა ნთქავს. დარწმუნებული ვარ ნებაყოფლობით იმდენი მოხალისე ჩაეწერება ჯარში, რომ მიზანს მივაღწიოთ. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ძალას მივმართავთ. მთავრობას უფლება აქვს ყოველ საზოგადო წრეს მსხვერპლის გაღება მოსთხოვოს. გერმანეთის მუქარა სავაჭრო გემების დაღუპვისა უდიდესი ბარბაროსული საფრთხეა. ინგლისის ერი იბრძვის თავისი არსებობისა და ცივილიზაციისათვის. ინგლისის ერმა დაუყოვნებლივ პასუხი უნდა გასცეს გერმანეთის მუქარას და უნდა ააგოს სამხედრო გემები ჩვენი სავაჭრო გემების დასაფარავად. ჩვენ შევძლებთ ამას. არცერთ კაცს და არც ერთ დედაკაცს ნება არა აქვს მაცქერლად დარჩეს მაშინ, როდესაც სხვები იბრძვიან. თუ მოკავშირეებმა ვერ გაიმარჯვეს, ცივილიზაცია 20 საუკუნით უკან დაიწევს. ამისთვის ყო- [illegible] -ლიზაციის უდიდეს ლაშქარში უნდა ჩაეწეროს. ჩვენ უკვე მილიონიანი ლაშქარი შევქმენით. ვერცერთმა ეროვნებამ ვერ შესძლო ამდენი მოხალისე გამოეყვანა.

## წყალქვეშ ბრძოლა

(პეტ. დეპ. სააგ.)

**გემების დაღუპვა**

**ლონდონი.** შვეციის გემი „ბრავალა" გერმანელების წყალქვეშამ დაღუპა და მის მეზღვაურებს ნავებში გადასვლის დროს სროლა აუტეხა.

უკანასკნელ დღეებში დაღუპეს ინგლისის გემი „პორტოდელაილ"-ი, რომლიდანაც 96 მგზავრი და მეზღვაური გემმა „ხერსვუდ"-მა შეიხიზნა. 3 მოჰკლეს, 2 დაიჭრა. დაღუპული ინგლისის გემები: „ფლორიდან უორლეიპ"-ი, „ფერინგ", „ბალბურ", „ორტენფელ"-ი, „რეზოლიუტ"-ი და ნორვეგიისა „ტაგორა".

**ლონდონი.** უკანასკნელ დღეებში დაღუპეს ინგლისის გემები: „ცური", „საკსენ-ბრიტონ"-ი, ვესტრა, „იემპრონიარ"-ი, „რომეო", „ბერტუჩიო", ერთი უსახელო ტრალერი და ერთიც სხვა გემი.

## გარემოცვის შედეგი

(პერ. დეპ. სააგ.)

### ნორვეგია

**ქრისტიანია.** ნორვეგიის მთავრობამ უილსონს შეუთვალა, ნორვეგიას არ შეუძლიან მოგემხროთ, რადგანაც სკანდინავიის 3 სახელმწიფოს მოლაპარაკება აქვს ერთმანეთში იმის თაობაზე, თუ რა გზას დაადგნენ გერმანეთის წყალქვეშა ბრძოლის გამოცხადების გამო საერთაშორისო უფლებათა მიხედვით.

### შვეცია.

**სტოკჰოლმი.** 22 იანვარი. შვედურ ნავთსადგურებიდან გემების გამოსვლა დროებით შეჩერებულია. შვედულთა სანავოსნო კომპანიები არც კი ფიქრობენ ინგლისთან და ამერიკასთან საზღვაო კავშირი შესწყვიტონ. გარემოცვის მიუხედავად, მთავრობა ცდილობს ზღვით ვაჭრობა განაგრძოს.

**სტოკჰოლმი.** 20 იანვარი. შვედელმა მინისტრმა ამერიკის ნოტის მიღებისათანავე ამერიკას განუცხადა, რომ შვეცია გერმანეთის საწინააღმდეგოდ შეერთებულ შტატებს არ მიემხრობა. ასეთივე გადაწყვეტილება გამოიტანა გუშინ მინისტრთა საბჭომ.

**სტოკჰოლმი.** 25 იანვარი. შვეციამ, ნორვეგიამ და დანიამ გადასწყვიტეს გერმანეთს პროტესტის ნოტა წარუდგინონ გერმანეთის მიერ ზღვაზე სავაჭრო გემების წინააღმდეგ ბრძოლის სიმკაცრის გამო.

**სტოკჰოლმი.** 25 იანვარი. ჩრდილო ამერიკის ელჩმა შვეციის მთავრობას ნოტა გადასცა, რომლითაც პრეზიდენტი უილსონი სთხოვს მიემხროს გერმანეთის წინააღმდეგ [illegible] ნაბიჯს.

### საფრანგეთი.

**პარიზი.** სახლების გასათბობად და სამხედრო ქარხნების ელექტრონისათვის საჭირო ქვანახშირის გამოსაზოგად მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ 8 თებერვლიდან თეატრები, კინემატოგრაფები და ყოველგვარი გასართობები კვირაში სამს დღეს დაიკეტოს; ომნიბუსების, ტრამვაის, რკინის გზის მატარებლების და მეტროპოლიტენების (მიწის ქვეშ მავალი რკინის გზების) მოძრაობა ღამის 10 საათზე შესწყდეს, ხუთშაბათისა, შაბათისა და კვირის გარდა. საკანცელარიეროები და საჩაიები სამშაბათობით და ოთხშაბათობით სრულებით უნდა იკეტებოდეს.

### ჰოლანდია.

**ჰააგა.** საგარეო საქმეთა მინისტრმა შეერთებულ შტატებს შეუთვალა: ჰოლანდიას არავითარი საბუთი არა აქვს შტატებს მიჰბაძოს, რადგანაც ვაშინგტონსა და ბერლინს შორის მოლაპარაკებას მოჰყვა ამერიკის ნაბიჯი.

### დანია

**კოპენჰაგენი.** უილსონის ნოტაზე დანიის მთავრობამ ამერიკის ადგილობრივ დესპანს პირადად განუცხადა: ამერიკისა და დანიის მდგომარეობა დიდად განსხვავდება, რის გამოც დანია შეერთებულ შტატების მაგალითს ვერ მიჰბაძავსო.

### შვეიცარია

**პარიზი.** შვეიცარიის დესპანმა საგარეო საქმეთა სამინისტროში ბრიანს განუცხადა: შვეიცარია კისრულობს საფრანგეთში გერმანეთის ინტერესების დაცვასაო.

### ბრაზილია

**პარიზი.** რიო-ჟანეიროდან იტყობინებიან: ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გერმანეთის დესპანს პროტესტი განუცხადა გარემოცვის გამო და მთელი პასუხის მგებლობა გერმანეთის წყალქვეშა ნავებით ბრაზილიის გემებისათვის მიყენებულ ზარალისა გერმანეთის მთავრობამ უნდა ზღოსო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გენერალ დალ'ოლიოს განცხადება

იტალიის სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენერ. დალ'ოლიომ, პარიზში ყოფნის დროს, ფრანგულ გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა: იტალიას ნებისყოფა საკმაო აქვს, მაგრამ ნედლი მასალა და სანოვაგე აკლია. იტალია იძულებულია ომისათვის საჭირო ნედლი მასალა და სანოვაგე უცხოეთიდან შემოზიდოს, მაგრამ მოპირდაპირის წყალქვეშა ნავები დიდად გვიბრკოლებენ ამ საქმეს. წყალქვეშათა თარეში დღითი-დღე ფართოვდება და ჩვენი გასაჭირი გაუსაძლისი იქნება, თუ მოკავშირეებმა დროზე არ მოგვხედეს და ბრძოლისათვის საჭირო მასალები [illegible]

გერმანეთი დიდძალ სამარ მასალას ამზადებს. ამ საქმეში მას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ნედლი მასალა უხვად მოიპოვება მის მიდამოებში. საჭიროა მოკავშირეებმაც იმდენი სასროლი მასალა მაინც დაამზადონ, რასაც გერმანეთი ამზადებს, რადგანაც მომავალ ბრძოლების დროს აუარებელი საშუალო ყალიბისა და უმთავრესად განსაკუთრებით მძიმე ზარბაზნები იქნება საჭირო. ეს გამოცდილებით ვიცით. ამის დასამზადებლად კი აუცილებლად საჭიროა ქვანახშირი და რკინა.

საჭიროა ნამდვილი ძმური დამოკიდებულება მოკავშირეთა შორის და ნედლი მასალის თანაბარი განაწილება ყველასთვის, უამისოდ საქმე ვერ მოგვარდებაო.

### ინგლისი.

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, წყალქვეშა ბრძოლის გამოცხადებას ინგლისელები არსებითს მნიშვნელობას არ აძლევენ. მათის აზრით ომის მსვლელობაზე ეს გავლენას არც კი მოახდენს. მხოლოდ ნეიტრალ სახელმწიფოებს თუ შეაწუხებს, თორემ ინგლისს შესაფერი ზომები აქვს მიღებული წყალქვეშა ნავების წინააღდეგ საბრძოლველად.

### დანია

დანიის ეკონომიური ცხოვრება ძირიან-ფესვიანად რყევაშია. ხალხი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს, რა მოჰყვება გერმანელების მიერ გამოცხადებულ გარემოცვას.

მთავრობის განკარგულებით კოპენჰაგენის ბირჟა 12 დღით დაჰკეტეს. ინგლისისა და საფრანგეთის მიერ დაქირავებული გემები ღზვაში აღარ გაუშვეს.

დანიის მთავრობა და მრეწველები საგონებელს მისცემიან, რადგანაც მთელს დანიაში ქვანახშირი ორ კვირას თუ გასწვდებათ.

## უკანასკნელი ცნობები

**გერმანელთ რამდენიმე სამხედრო შკოლა გახსნეს, ხადაც ტყვე რუსებს და პოლონელებს ოფიცრებად ამზადებენ მომავალ პოლონეთის ჯარისთვის.**

—

**შვეციის სავაჭრო გემი „ბრავალა" გერმანელებმა ჩახძირეს. ამ უკანასკნელ დღეში გერმანელებმა ჩახძირეს ინგლისელთა შემდეგი გემები: „პორტე-დელაიტ", „ფლორიდან უსრლეიპ", „კერინ", იალქანი „ფელფურ"; ამის გარდა კიდევ დაღუპეს: „უორტენფელ", ტრაულერი „რეზოლიუტ" და ნორვეგიის ნავი „ტაგორა".**

—

**სატახტო გაზეთების ცნობით, პოლონეთის საკითხს, რომელიც რამდენჯერმე იქმნა წამოყენებული და რომელსაც დიდი ისტორია აქვს, ამ ჟამად უეჭველად გაარჩევენო.**

—

**ამერიკის ფინანსიურ წრეებში მოლოდინი აქვთ, რომ ამერიკასა და გერმანეთს შორის ომი აუცილებლად მოხდებაო. ამასთანავე ამბობენ, ამერიკაში 8 მილიონ მცხოვრებ გერმანელების გრძნობას ანგარიშს გაუწევენო.**

—

**საფრანგეთის პალატას დაუდგენია, მღვდლები ჯარში გაგზავნონ, როგორც უბრალო ჯარის კაცებიო. კათოლიკეთა პრესა ამის გამო დიდს უკმაყოფილებას აცხადებს.**

## ახალი ამბავი

**✦ ხევსურთა დეპუტაცია მეფის ნაცვალთან.** გუშინ, 27 იანვარს, დღის $1^1/_2$ საათზე, მეფის ნაცვალს, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, წარუდგა ხევსურთა დეპუტაცია, რომელშიაც შედიან მ. ვ. მაჩაბელი, შ. ა. ქარუმიძე, გოგოთურ ჰინჭარაული და კუდია არაბული. დიდი მთავარი მიესალმა ხევსურებს და ბრძანა, რომ თქვენი გასაჭირი ყოველივე ვიცი და მივიღებ ზომებს გაჭირვებული მდგომარეობა შეგიმსუბუქდეთო. დეპუტაციამ მოახსენა მის იმპერატორებითს უმაღლესობას, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა ხევსურეთი ჯარში ახალგაზრდების გაწვევის გამო. ამით ისარგებლეს ქისტებმა და შეუწყვეტლად თარეშობენ ხევსურეთშიო. დიდმა მთავარმა ბრძანა: როცა თქვენი მდგომარეობა გავიცანი, ჩემს სამხედრო ნაწილის თანაშემწეს ინფანტერიის გენერალს იანუშკევიჩს მივანდე თქვენს წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაოს პირობანი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებისაო. დეპუტაციამ მადლობა მოახსენა დიდს მთავარს. ბოლოს მისმა უმაღლესობამ უბრძანა დეპუტაციას, ჩემი სალამი გადაეცით ხევსურებსო. ამ აუდიენციის შესახებ დაწვრილებით შემდეგს წერილში დაიბეჭდება.

**✦ წმ. დავითობა ქართულ გიმნაზიაში.** იანვრის 26, წმ. დავით აღმაშენებლის დღეობას ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში, რომელიც ამ წმიდანის სახელობაზეა აგებული, დღეობა იყო. დიდძალი ხალხი დაესწრო. დეკანოზმა კ. ცინცაძემ იქადაგა.

**✦ ჯარში გაწვევა ახალგაზრდებისა.** ჯარში გაწვეულნი იქნებიან 1898 წელს დაბადებულნი. ესენი უნდა გამოცხადდნენ ბევრის მოსახდელად ამა წლის თებერვლის 3. ხოლო ლეჩხუმის სამხედრო საკრებულოში (სვანეთში) და თიონეთის მაზრაში (ფშავ-ხევსურეთში) გასაწვევნი ახალგაზრდანი უნდა გამოცხადდნენ ამავე წლის მკათათვის 1-ს.

**✦ ლტოლვილთათვის.** მეფის მთავრის კანცელარიამ ქალაქთა კავშირის განყოფილებას გაუგზავნა 706,282 მ. ლტოლვილთათვის საექიმო-სასანიტარო დახმარების ხარჯების დასაფარავად.

**✦ ფრესკების გამოფენა.** იანვრის 25 დაათვალიერეს მისმა უბრწყინვალესობამ თავად გოლიცინის მეუღლემ ასულითურთ და თავადისავე მეუღლემ ნ. დ. ჩოლოყაშვილისამ.

**✦ ბ-ნ მუხუშარიას მანქანები.** იანვრის 23 ქარ. საქველ. საზოგადოების სხდომაზე მ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით, ამავე საზოგადოების ჩუღურეთს სკოლის სახელოსნო განყოფილების მასწავლებელმა ბ-ნმა მუხუშარიამ აჩვენა დამსწრეთ თვის მიერ გამოგონილი მანქანები: საფქვრო, გუთანი და ჩაის ფურცლების სახვევი. დამსწრეთ ძრიელ მოეწონა ბ-ნ მუხუშარიას მანქანები.

## ერთი ყალბი დოკუმენტის გამო*)

გაზეთ „საქართველოს" უახლოეს ნომერში ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ახალი საბუთი შოთა რუსთაველზე[1]). საბუთში აღნიშნულია შოთას ვინაობა და გარდაცვალების თარიღი. დოკუმენტის გამოქვეყნებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფართე საზოგადოებაში; ბევრსა ჰგონია, ამ საბუთით ახალი შუქი მოეფინა შოთას პიროვნებას და მისი ცხოვრების დროსა. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არის. დოკუმენტის ახლო გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი სულ ახალი დროის სიყალბეს წარმოადგენს[2]).

საბუთი მოთავსებულია გერგეტის წმიდა—სამების „სულთა მატიანეში" (სააღაპე წიგნში). თითონ ხელნაწერი ძველია და მისი ძირეული ტექსტი მე-XII—XIII-ე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. მატიანე შევსებულია შემდეგის დროის სხვა და სხვა ჩანაწერებით.

ჩვენთვის საინტერესო შოთას შესახები ტექსტი მოთავსებულია ხელნაწერის უკანასკნელს ფურცელზე (ეხლანდელ პაგინაციით მე-40 გვერდზე). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფურცელი უსათუოდ თვით ამ ხელნაწერისაა და არა სხვა რომელიმე ხელნაწერიდან ამოღებული. ამაში არავითარ ეჭვს არ სტოვებს ეტრატების შედარება (ხელნაწერი ეტრატისაა). ხელნაწერის უკანასკნელი გვერდი ცარიელი ყოფილა. მხოლოდ ზემო ნაწილში ეტყობა სამი თუ ოთხი ძველი სტრიქონი, რომელიც შემდეგ ამოუფხეკიათ. ამის ქვემოდ მოთავსებულია შოთას შესახები წარწერა, შესრულებული ასომთავრულ ხელით. მოგვყავს ტექსტი უცვლელად:

„ ძ თამ-რ: მეფე: გარდაიცვ-ლა: ქკ-ნსა: პლგ: იანვრსა: იჱ: პარასკვსა (ე. ი. 1213 წელს 18 იანვარს).

ქ მესხი ჰიაბრის ძე მგოსანი შოთა რუსთაველი წარვიდა: ერ-სალემ: (sic) დ მუნ: გარდაიცვალა ქორონიკონსა: კლთ: მაისსა ა: დღესა ხუთშაბათსა: შ-ნ: ღ-ნ: (თარიღი უდრის 1219 წელს 1 მაისს)·

ოდეს ესე დაიწერა: ქ-ნი იყო ჳ: მა: (ე. ი. 1221 წელი) შ-ნ ღ-ნ მ-ქლს:"

ძველ ქართულ პალეოგრაფიის მცოდნემ საკმარისია ერთი თვალი გადაავლოს მინაწერის დედანსა, რომ დარწმუნდეს მის სიყალბეში. წერის სტილი სულ ახალ დროს უჩვენებს: იგი სავსებით თანამედროვე სტამბურ ასომთავრულის ასლია. წარწერა შესრულებულია ახლანდელი ალიზარინის მელნით. აღსანიშნავია რომ მელანი ალარც-კი მოჰკიდებია რიგიანად ეტრატსა, რადგან ყალბის-მქნელს—ეტყობა—ნაადრევად დაუშრალებია იგი; მას ვერ უვარაუდნია, რომ ეტრატზე მელნის გაჯდომას უფრო მეტი დრო უნდება, ვიდრე ეს ქაღალდისთვის არის საჭირო. წარწერას ეტყობა ისიც, რომ მასზე ეხლანდელ მეტალიურ კალამს უმუშავნია, და არა ლერწამსა ან ბატის-ფრთას: ზოგ ასოთა მოხაზულობის გარე-სრე უფრო ძლიერ არის დაჭირებული და შავად გამოყვანილი, ვიდრე ხაზის შუა ნაწილები. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება. ფურცელი, რომელზედაც მოყვანილია მინაწერის ტექსტი, ჩაშავებულია, რადგან ხელნაწერს უკანა ყდა კარგა ხანია რაც დაჰკარგვია. ყალბის მქნელს დასჭირვებია ფურცლის გადაფხეკა და მინაწერი შეუსრულებია ამ გადაფხეკილ ადგილზე. გადაფხეკილს თვალად ეტყობა, რომ იგი სულ ახალი საქმეა: მას ჯერ მტვერი არც-კი მოჰკიდებია.

მინაწერის სიყალბეს ამხილებს თითონ საბუთის ტექსტიცა. უმეცარ ყალბის-მქნელს ტექსტში შეჰპარვია ახალი ქართული ტერმინი.

მინაწერის ავტორი სიტყვა „მგოსანს" ხმარობს „პოეტის" მნიშვნელობით (იხ. ზემოთ, ტექსტში: „მგოსანი შოთა რუსთაველიო"). მაგრამ ეს — ანაქრონიზმია. სიტყვა მგოსანი „პოეტის" მნიშვნელობა მხოლოდ ახალ ქართულ მწერლობაში იხმარება; ძველად კი პოეტს ეძახოდნენ: „მაშაირე"-ს, „მოლექსე"-სა, უფრო ხშირად — „მელექსავს" ან „ლექსთა მოთქმულს".[4])

„მგოსანი" ძველ-ქართულში ნიშნავდა არა პოეტსა, არამედ მომღერალს, ზოგჯერ მომღერალ მემუსიკეს.

ძველი ლექსიკოგრაფი საბა—სულხან ორბელიანიც სამართლიანად განმარტავს, რომ მგოსანი არის „მომღერალი ხმითა—სამუსიკოთა ებანთა და საკრავთა ზედა" (იხ. მისი ლექსიკონი, სიტყვა მგოსანი[5])). მკითხველის საგულისხმოდ მოვიყვანდით რამდენსამე მაგალითს „ვეფხვის ტყაოსნიდან". მომღერალ ტარიელისა და ავთანდილის შესახებ გვეუბნება პოეტი, რომ—

„ორნივე ტურფად იმღერდეს
ვით იადონი მგოსანი" (იხ. 1331 ხანა მეცხრამეტე გამოცემისა).

ან კიდევ როდესაც როსტევან მეფე დარწმუნდა, რომ უცხო ვეფხვისტყაოსანი მოყმე ხორციელი კი არ იყო, არამედ ეშმა, მისი ლხინის შემშლელად მოვლენილი, მან გულიდან სევდა გადაიყარა, და—შოთას სიტყვით—

„...სიხარულით
თამაშობა ადიადა;
მგოსანი და მუშაითი
უხმეს, პოვეს რაცა სადა.
დია გაეცა საბოძვარი
ყველა დარბაზს შემოჰხადა"...
(119 ხანა, იქვე)

ყველა ამ შემთხვევაში სიტყვა „მგოსანი"—ცხადია—ხმარებული არის მომღერლის და არა პოეტის მნიშვნელობით. ამასვე ნახავს მკითხველი ძველი ქართული მწერლობის სხვა ნიმუშებშიაც.

მეორე კლასიკოს ქართველ პოეტის შავთელის სიტყვით მეფის სასახლეში—

„ისმის მგოსანთა
ვით საფირონთა
ხმანი ებნისა
და წინწილისა" (აბდულმესიანი, 44).

სახარების ძველ-ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა, და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი" (მათე, 9,23). სხვა ენის სახარების თარგმანებში ამ ადგილას მგოსნის საფარდოდ სწერია—მემუსიკე, სალამურის დამკვრელი. მოყვანილი მაგალითებიდან მკითხველი ხედავს, რომ მგოსანი ძველ-ქართულში სრულებით არ ნიშნავს პოეტსა, როგორც ეს ყალბის-მქნელს ჰგონებია.

საბუთის სიყალბის მამხილებელია აგრეთვე თვით „სულთა მატიანის" მინაწერები. ამ მინაწერებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ხელნაწერი ხელთა ჰქონია მე-XVIII-ე საუკუნის მეცნიერებს—ვახტანგ მე-VI-ესა და დიდ ანტონი კათალიკოზს.[5]) ცნობილია, რომ მეფე ვახტანგ—ქართული მატიანების რედაქტორი იყო და ამავე დროს ვეფხის-ტყაოსნის პირველი გამომცემელი და კომენტატორი. დიდი ანტონიც შეეხო რუსთველს თავის „წყობილსიტყვაობაში". მაგრამ არც ერთი მწერალი, არც მეორე არ იხსენიებენ ჩვენი მინაწერის ცნობებსა. ეს გარემოება მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ ეს მინაწერი ვახტანგისა და ანტონის დროს ე. ი. მე-XVIII-ე საუკუნეში არ არსებულა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა, რომ მათ არ ესარგებლნათ აქ მოყვანილი ახალი და საგულისხმო ცნობებითა.

მაგრამ ეს მინაწერი არ არსებულა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებშიაც. საქმე ის არის, რომ ჩვენი ხელნაწერი—„გერგეტის სულთა მატიანე", ხელთა ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსს ბ-ნ თ. ჟორდანიას, და 1897 წელს, თავისი „ქრონიკების" მეორე ტომში, გამოაქვეყნა მისი მნიშვნელოვანი მინაწერები[6]). მაგრამ ბ-ნი ჟორდანია არას ამბობს შოთას შესახები მინაწერის თაობაზე. აშკარა ეს მინაწერი მის დროს არ არსებულა, რადგან შეუძლებელია არ შეემჩნია იგი და არ შეეტანა თავის გამოცემაში, რაკი ასე გულდასმით გადაუსინჯავს წიგნი და ამოუკრეფია ყველა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ისტორიული ცნობა. მით უმეტეს, რომ წარწერა მოთავსებულია საჩინო ადგილზე და შესრულებულია ასომთავრულით[7]).

ამაზე შეგვიძლია დავამთავროთ საუბარი. არის კიდევ ზოგი რამ საბუთი, რომელიც ამხილებს სულთა მატიანეს მინაწერის სიყალბეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ისედაც ნათლად გამოირკვა, რომ ეს მინაწერი სულ უკანასკნელ დროის ნაცოდვილარს წარმოადგენს: საკითხავი ისღა დარჩენილა, ვის და რისთვის დასჭირდა ამ სიყალბის ჩადენა!

ექვთიმე თაყაიშვილი.
პავლე ინგოროყვა.

26 იანვარი.

---

*) ჩვენთა პატივცემულ მკვლევართა წერილს რედაქცია უცვლელადა ჰბეჭდავს, როგორც უცვლელად დაჰბეჭდა ისტორიკოსის ბ-ნ მოსე ჯანაშვილის წერილი და კვლავაც უცვლელად დაბეჭდავს სხვა მცოდნე პირთა აზრს ამავე საგანზე.

რედ.

[1]) იხ. გაზ. „საქართველო" № 12 (1917 წლ.) ბ-ნ ჯანაშვილის წერილი; „ერთი ხელნაწერი". შესწორება „საქართველოს" მე-13-ე №-ში. ამავე საბუთს ეხება ბ-ნი ჯანაშვილი თავის წერილში: „შოთა და მისი ვეფხისტყაოსანი" იხ. „საქართველო" № 15.

[2]) საბუთში ეჭვი თითონ გამომცემელმა ბ-ნმა ჯანაშვილმაც შეიტანა, თუმცაღა დაუსაბუთებლად.

[4]) იხ. „ვეფხის-ტყაოსნის" შესავალი, ხანები 20—25, „ისტორიანი შარავანდედთანი", მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 365, 501.

[5]) „მგოდებენიცა—გლოვის მგოსნად ითქმიანო"—უმატებს ლექსიკოგრაფი.

[5]) იხ. ხელნაწერი—გვ. 39 (ვახტანგ მეფის მინაწერი), 38 (ვახტანგ მეფისავე მინაწერი—ავტოგრაფი), 37 (ანტონი I-ის ავტოგრაფი).

[6]) იხ. ხსენებული წიგნის შემდეგი გვერდები: 25—26 206, 245, 246, 247, 293, 303, 321, 322, 517 და შეუდარეთ ხელნაწერსა.

[7]) შეიძლებოდა გვეფიქრნა, ხომ არ იყო ჟორდანიას დროს ეს ფურცელი დაფარული, მაგალითად ყდაზე დაკრულიო, მაგრამ ფურცლის გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ ეს ასე არ ყოფილა. თვით ნაწერსაც სრულებით არ ეტყობა არც წებო, არც ყდაზე დანაკრავობა.

მეტად მარტივნი და ყველასათვის ხელმისაწვდომნი არიან.

**საპროფესიო სწავლა-განათლება საქართველოში.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში სახელოსნოები გახსნას საპროფესიო განათლების გასავრცელებლად. მოქმედების გეგმის შესამუშავებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ინჟენერები გ. ქურდიანი, ი. ყიფშიძე, პ. მამრაძე, ლ. დიასამიძე, ხუროთ-მოძღვარი სვ. კლდიაშვილი და ექიმი გ. მუხაძე.

**თბილისის სასტუმროების მორთულ ოთახების,** რესტორანების და სხვათა პატრონების ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების გამგეობამ სთხოვა თბილისის ქალ. გამგეობას 1500 ფუთი შაქარი თავის წევრთა შორის გასანაწილებლად, უკანასკნელმა კი მხოლოდ 119 ფუთი მისცა. გამგეობა კმაყოფილი არ დარჩა ასეთ განკარგულებისა და აპირობს იგი გაასაჩივროს სადაც ჯერ არს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმავე საზოგადოებამ მიიღო დეკემბერში 142 ფუთი შაქარი, თუმც მაშინ ითვლებოდა 59 წევრი, ახლა კი, როდესაც წევრთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა, (130 წევრია), იგივე საზოგადოება 119 ფუთს იღებს.

**სომეხ ექიმთა ერთს ჯგუფს** კრება ჰქონდა, რომელზედაც დაადგინეს დააარსონ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებასთან საექიმო სექცია, რომელიც დახმარებას აღმოუჩენს ღარიბ მცხოვრებთ და გადმოხვეწილებს.

**ახალი ჟურნალი.** სომეხთა ინტელიგენციის ერთმა წრემ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველთვიური სამეცნიერო-საფილოსოფიო ჟურნალი „ბან“ (საქმე).

**ნაკადული.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის“ (მცირეწლოვანთათვის) № 1 1917 წლისა.

**დაკარგული ჯარისკაცი** ჯარისკაცი ტარასი მეგრელიშვილის (იგივე ვალოდია ბერძენიშვილი), მსახურებდა 221 სათადარიგო ბატალიონში, მეექვსე როტაში მომქმედ ჯარში. ექვსი თვეა, რაც მისგან არაფერი ვიცით. ვთხოვთ თუ ვინმემ იცის რაიმე მის შესახებ გაგვაგებინოს შემდეგი მისამართით: гор. Батумъ, Михайловскій крѣпостной военный телеграфъ, Прокофію Өеодор. Бердзенишвили.

**სასურსათო საქმე.** 26 იანვარს სხდომა ჰქონდა ქალაქის საბჭოს სასურსათო აღმასრულებელ კომისიას. ბ-ნმა კეილმა წინადადება მისცა კომისიას გამოიტანოს დადგენილება, რომ აღიკრძალოს ამიერ კავკასიიდან ერბოსი და შვეიცარიულ ყველის გაზიდვა. ბ-ნმა კაზაკოვმა ამას დასძინა, რომ კვერცხების გატანაც აიკრძალოსო. შემდეგ კომისიამ შეიმუშავა პროექტი ნიხრისა, ამ პროექტის მიხედვით, 100 ცალი კვერცხი ეღირება 8 მან, გირვანქა შვეიცარული ყველი 1—20—1—50 კაპ., ტოლჩა რძე 20 კ., თუშური ყველი გირვანქა 80 კაპ., ნადუღმობილი ყველი 45 კაპ., ყაზანის საპონი ფუთი 20 მან., თეთრი საპონი 18 მან., გირვანქობით საპონი 55 კაპ., ერბო გირვანქა 2—20 2—60 კაპ., აკულის ბრინჯი გირვანქა 45—55 კ., გირვანქა ლობიო 25 კ., კარტოფილი 04 კ., კომბოსტო 05 კ., ჭარხალი 05 კაპ., ფუთი შავი ქერი 4 მ. 40 კ., თეთრი ქერი 4 მან., თივა 1 მ. 50 კ., სიმინდი 1 მ. 60 კ., ბზე 1 მ. 50 კაპ., ფუთი მარილი 2 მან., გირვანქობით 06 კაპ., გაწმენდილი 07 კაპ. კრებამ გადასწყვიტა დაათვალიერონ და რევიზია მოახდინონ ქალაქის სასურსათო დუქნებსა და ფურნეებში. შრომა თავიანთ შორის გაინაწილეს კომისიის წევრებმა. რევიზია კვირიდან (29 იანვარი) დაიწყება. შაქრის მისაღები ბარათები 4 თვით დარიგდება.

**ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას** აზრად აქვს, როცა ფრესკების გამოფენა დაიხურება, გამოფინოს ქართველი მხატვრების ნაწარმოები. გამგეობა ეხლავე იმის თავდარიგშია, რომ შესაფერი ბინა იშოვნოს გამოფენისათვის. მხატვრებმა გაბაშვილმა და თოიძემ უკვე თანხმობა განუცხადეს გამგეობას, რომ თავიანთი ნაწარმოების გამოფენას მიანდობენ მას.

**პანსიონი ქართულ გიმნაზიასთან.** როგორც გავიგეთ, ქართულ საქალო გიმნაზიის კეთილდღეობისათვის დაუღალავმა მზრუნველმა ქ. მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ განიზრახა ხსენებულ გიმნაზიასთან პანსიონის დაარსება და უკვე შესაფერი ნებართვაც მიიღო ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად.

**ქუთაისი.**

ბ-ნს რაჟდენ დათეშიძეს მოუვიდა 20 ვაგონი ფქვილი, რომელსაც თვითონვე დაანაწილებს მომხმარებელთა შორის.

— ქუთაისის რკ. გზ. სადგურზე ჟანდარმმა დაიჭირა შაქარი, რომელიც სხვა და სხვა ადგილას იგზავნებოდა ვაშლის სახელით. ერთ პარტიას, 52 ფუთს, ევლახში გზავნიდა შაბათა მომწკეპლიშვილი, მეორე პარტიას, 50 ფუთს, ბაქოში გზავნიდა დანიელ თოროზაშვილი და მესამე პარტიას, 30 ფუთს, განჯაში გზავნიდა ისრაილ მომწკეპლიშვილი.

## შეცდომათა გასწორება

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ფელეტონში: „ბ-ნი მინცლოვი და ოსმალეთის საქართველო“, მესამე სვეტის მე-26-ე სტრიქონში სწერია: 1014 წლის ქართული ქრონიკა—უნდა იყოს: 1042 წლის; მერვე სვეტის მე-21-ე სტრიქონში სწერია: „ტრაპიზონის ვილაეტის ორ საუნჯის“,—უნდა იყოს: ორი სანჯაყის...

## ვ. გუნიას იუბილეს გამო

გუშინ გაზეთებში ამოვიკითხე, რომ დრამ. საზოგ. გამგეობას გადაუწყვეტია ვ. გუნიას იუბილე გამართოს მარტის 19-ში.

ეგ გადაწყვეტილება უხერხულად მიმაჩნია.

19 მარტი ან ისიც ბედნიერი დღეების წინა კვირა იუბილეისათვის ყოვლად შეუფერებელია.

ისევ ისა სჯობიან, იუბილე გაიმართოს აღდგომის კვირას, მით უფრო, რომ წელს აღდგომა ადრეულია (2 აპრილი). ეს დრო უფრო ხელსაყრელი იქნება და მიზან-შეწონილიც.

მარტი კი... ისიც დიდმარხვის მიწურული ვნების კვირის წინედ სრულებით არ არის სადღესასწაულო დრო.

აღდგომის კვირა—გაზაფხულის დასაწყისი—ყველას საზეიმო ჰანგზე აყენებს და, თუ დრამ. საზოგ. გამგეობაც და მეთაურებმა, ვ. გუნიას სასცენო, სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის 35 წლის თავი სწორედ საერთო ზეიმით და მადლობის გრძნობით უნდა იყოს გადახდილი.

*დრამ. საზოგ. წევრი.*

# პატარა ფელეტონი

## მეფე დავითი

(ლეგენდა)

ებრაელების მეფე დავითი ღრმა ფიქრს მისცემოდა... იჯდა მარტოდმარტო ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ, ძირს დახრილ თავით მარცხენა ხელს დაყრდნობოდა და უძრავი წერტილისთვის გაეყარა ჩაფიქრებული თვალები... ის იგონებდა წარსულს, სწუხდა აწმყოზე და ფიქრობდა მომავალზე... აგონდებოდა ბავშობა: ვინ იყო იგი?—უბრალო მწყემსი, ტყესა და ღრეში მოხეტიალე, ცხვრებთან ერთად... ვინ არის ახლა?—ბუმბერაზი მეფე, რომელმაც არა თუ გაფანტა უამრავი მტრები ურიათა, არამედ დაიმორჩილა და ხარკი დაადვა მეზობლებს... მეფე მირონცხებული, სულიწმიდის ძალით მხედველი, მეფე—წინასწარმეტყველი.

— რა მომივა ხვალ?—გაუელვა ფიქრმა და წარბები შეეკრა.

— არ ვიცი!—სთქვა ფიქრით კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და მძიმე ლოდი დააწვა გულზე.—ვხედავ, რა უნდა მოხდეს რავდენიმე ამე საუკუნის შემდეგ და არ ვიცი, მე თითონ რა დამემართება ხვალ!.. ახირებული საქმეა!..

აიღო თავი, ახედა ცას, თითქო სურს სული წმიდის ძალა გამოიწვიოსო და ხმა-მაღლა წარმოსთქვა:

— ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, და გზასა ცოდვილთასა არა დადგა; დასაჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა...

მეფე ჩაფიქრდა. მოაგონდა წინასწარმეტყველი ნათანი და სახეზე ხელი წაიფარა, თითქო თვისი თავისა რცხვენიაო.

— დიახ, ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა... მაგრამ განვიცდი მე თითონ ამ ნეტარებას?—შეეკითხა იგი თავის თავს.

და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— ოხ, ვირსავია, ვირსავია!! ათასჯერ უმჯობესი იყო არ ჩასახებოდი დედა შენს!.. მე შენ ცოდვით ამავსე!. მე თითონ ვერ დავინახე ეს ცოდვა... სხვამ მასწავლა—სხვამ... ნათანმა მამხილა, რომ ცოდვა დავიდევ... ცხვრის ფარის პატრონმა, ერთად ერთი კრავის პატრონს მოვტაცე, ვით ულმობელმა, სასტიკმა მხეცმა—მგელმა, მოვტაცე ეს კრავი, ჩავახრჩე და მუცელი შხამით ავივსე... ათასჯერ, ათასჯერ უმჯობესი იყო არ შობილიყავ, ჩემო კოკლუცო...

ცრემლით ავსებული თვალის უპიდან მოსწყდა ობოლი წვეთი, ულვაშის წვერზე დაეცა და იქვე გაცივდა; არ შორდებოდა, თითქო სურს მოწმედ დაესწროს მეფის სულისკვეთებასო.

— საბრალო ურია!.. ერთგულო მონაო!... მეფისთვის, მამულისათვის, სარწმუნოებისთვის ოჯახს მოგწყვიტე, ცხრა მთას იქით გაგისტუმრე, რომ გახურებული გული მიგეშვირა გაცვეთებულ მახვილისთვის... ერთგულო მონაო! .. მე რომ მეფე ვყოფილიყავ, მეფე ზეგარდმომადლით ცხებული, უნდა მეპატრონებია შენი ოჯახისთვის!.. და ნაცვლად!... მე თითონ, მე—მეფემ, ოჯახი გაგიტეხე.. ვით მხეცი, ვით ავაზაკი მოვეპყარ შენი ოჯახის შვენებას, შენს სალოცავ ხატს, მოვგლიჯე იგი გულიდან და ჩემ სათამაშო საგნად გავიხადე... შენც ბაგენი დაგიდუმე!.. მერე რისთვის? რა დაგიშავებია ჩემთვის? რა მოგიძღოდა, ერთგულობის მეტი? ის ხომ არა, რომ როცა ჩემი სამსახურისთვის სისხლი უნდა დაგეღვარა, შენი ოჯახი, შენი გვრიტი—ვირსავია მე ჩამაბარი, ვით მამას?!... მამობაც ასეთი უნდა!!!

ულვაშის წვერზე დასკუპებული ობოლი ცრემლი შეინძრა, თითქო უმოწმებსო:

— ჭეშმარიტებას ამბობ, მეფეო, ჭეშმარიტებას... ბედნიერი ხარ, რომ მე მომიწოდე... მე მეორე ნათანი ვარ... ვაი მას, ვისაც ორი ნათანი თან არ ახლავს! ნათანმა, რომელიც არის შენი სინიდისი, ცოდვის შემდეგ მაინც გამოიღვიძა; მე გული მოგილბე, ის გაველურებული გული, რომელმაც გაგამხნევა დათვივით დაგეხრჩო ერთგული მონა, ამოგეზიდა მისის გვამიდან სული და იმის ოჯახი გაგეუპატიურებია... ნათანი და ცრემლი, ცრემლი და ნათანი—უტყუარი მეგობრები, სხვა ყველა გიღალატებს! ჩვენ ორს-კი ბუნებით არ შეგვიძლია ღალატი... ეს კია, ჩვენ ორს მოწოდება გვჭირია, დაუპატიჟებლად არავის ვეწვევით.

— მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავალითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოება ჩემი...—ხმამაღლა წარმოსთქვა მეფემ.

მეორედ შეინძრა წვეთი ცრემლისა, თითქო უხერხულად გრძნობს თავსო.

— ახლა-კი გშორდები. რა-კი ხელი ცისკენ აღიპყარ, წინასწარმეტყველობის ძალა შენს სულს მოევლინება,—ჩაილაპარაკა მან და ისკუპა ულვაშიდან.

მეფემ განაგრძო ლოცვა...

— პოეზია!—წარმოსთქვა მან სიხარულით.—მთელი პოეზია იხატება ამ ლოცვაში... ამას ივით ღვთის ყურადღების დატკბობაც-კი შეუძლია... მაგრამ—ჩუ! ..

მოესმა ციური ხმა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! მოქარა სულისაგან წმიდისა:—„ძე შენი აბესალომ წინაალკვდეგ შენ, აღაგიმტუტოს საპძანებელი შენი და განაძევოს იერუსალიმით ფეხშიშველი“.

შეზარებული მეფე შეინძრა და ერთხელ კიდევ გულის სიღრმიდან ამოხდა მწარე ნაღველი:

— ო-ოჰ!...

*კარილე წუთისოფლელი.*

## ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში

უკვე მუშაობას შეუდგა ეს ნორჩი საზოგადოება, რომელიც ორი თვე ძლივსაა, რაც არსებობს. დაარსების უმალ საზოგადოება დაიყო საერობო, სატერმინოლოგიო და საბიბლიოგრაფიო სექციებად. თითეულმა სექციამ თავის საქმეს ხელი მიჰყო და სისტემატიურ სხდომებს მართავს.

გარდა სასექციო მუშაობისა, ხანგამოშვებით საზოგადოების მორიგი კრებებიც იმართება; ასეთ კრებებზე საზოგადოების მიმდინარე საქმეებისა და საჭიროებათა განხილვის გარდა, დადგენილია იკითხებოდეს სხვა და სხვა სამეცნიერო ხასიათის მოხსენებანი. პირველი ამ ხასიათის კრება გაიმართა 22 იანვარს. როგორც გაზეთებში გამოცხადებული იყო კრების პროგრამა სამეცნიერო და საადმინისტრაციო ნაწილებისაგან შესდგებოდა. სამეცნიერო განყოფილებაში მ. ა. გედევანიშვილისა და ექიმ გ. გ. მუხაძის მოხსენებები უნდა წაკითხულიყო. დანიშნულ დროზედ კრების დარბაზში ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. წევრებს გარდა გარეშენიც დაესწრნენ. კრება დანიშნულს დროზედ გაიხსნა. თავმჯდომარეობდა საზოგადოების თავმჯდომარე ექიმი გ. გ. მ..ღალაშვილი. სიტყვა მიეცა ექიმ გედევანიშვილს.

მისი პირველი მოხსენების სათაური იყო: „ძვლის ნერვის ორკერძი სიდამბლე პასტერის შრატის ხმარებისდროს“. ამ მოხსენების მასალა ექიმ მ. ა. გედევანიშვილისთვის მიუცია ერთ მის ავადმყოფს, რომლისთვისაც ცოფიან ძაღლს უკბენია. საგნის მცოდნე ექიმთა შორის ამ მოხსენებამ საინტერესო კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია გამოირკვა, რომ აქამდის არ იციან, თუ რა იწვევს ასეთ შემთხვევაში შრატის ხმარების დროს პერიფერიულ ნერვების სიდამბლეს ან თავისა და ხერხემალ-ტვინის ანთებას: ნამდვილი მიზეზის უცოდინარობის გამო, წამლობაც ყოველთვის ვერ არის საფუძვლიანი და ხშირად, თვით პასტერისეულ აცრის შემდეგაც, ცოფის სენით დაავადმყოფებული სიდამბლეს ვერ უძლებს და თან გადაჰყვება თურმე.

მეორე მოხსენება ექიმ მ. ა. გედევანიშვილისა კანის კუს ეხებოდა. ამ მოხსენების მასალა პატივცემულ ექიმს 57 წლის დედაკაცის წამლობის დროს მოუკრებია. ეს სენი ავადმყოფს ამ ოთხი თვის წინად გამოსჩენია მარცხენა სახის კანზე.

თვის პაციენტის წამლობა ფრანგი მეცნიერის დარსონვალეს ნაპერწკლების საშუალებით დაუწყვია. მომხსენებელის აზრით, ავადმყოფი მორჩენის გზას დასდგომია.

ექიმი გედევანიშვილი დარსონვალის ნაპერწკლის ძალას ამჯობინებს წამლობას სინათლით, რადიუმით, რენტგენის სხივებით და ელექტრონის ძალით.

ექიმი გედევანიშვილი საზოგადოებას დაჰპირდა წამლობის გათავების შემდეგ განკურნებულ ავადმყოფების ჩვენებას.

მეორე მომხსენებლად გამოვიდა ექიმი მ. გ. მუხაძე. მისი მოხსენება შეეხებოდა რუსის დოსტაქართა მე-XIV-ე ყრილობას მოსკოვში. ვიდრე თვის მოხსენებას შეუდგებოდა, პატივცემულმა დოსტაქარმა საზოგადოებას უჩვენა 8 წლის ბავშვი, რომელსაც საშარდე ბუშტში კენჭი ჰქონია და რომლისთვისაც 16 დღის წინად მას ოპერაცია გაუკეთებია. ოპერაცია პროფესორ რაზუმოვსკის მეთოდით მოუხდენია. ამ მეთოდის უპირატესობა ისა ყოფილა, რომ ჭრილობა მალე რჩება თურმე. ბუშტი ვერცხლის ან სპილენძის მავთულით იკერება და ავადმყოფი აღარ სველდება შარდით, რომელიც ჭრილობისგან სდის და ჭრილობას არც სხვა რამ უსიამოვნობა მოჰყვება. დოსტაქარი ვერცხლის მავთულს მაშინ ხმარობს, თუ ბუშტი ოპერაციის ხანაში უჩირქო და წმიდაა.

ამ მეთოდით პატივცემულ დოსტაქარს ოპერაცია 22 ავადმყოფისთვის გაუკეთებია. აქედან 16 ავადმყოფი 2—3 კვირის განმავლობაში მორჩენილა და 6 ავადმყოფი 2—4 კვირამდე, მაშინ როდესაც სხვა მეთოდით ავადმყოფის მორჩენას 6—8 კვირა სჭირდება.

ამის შემდეგ ბ-ნმა მუხაძემ წაიკითხა საინტერესო მოხსენება რუსის დოსტაქრების მე XIV ყრილობის შესახებ, რომელიც ქ. მოსკოვს გაიმართა დეკემბრის 16—19-ში, ყრილობას 1200 წევრი დასწრებია, სამჯერ მეტი, ვიდრე წინა წლებში.

მოხსენებაში გადმოცემული იყო ყრილობის მუშაობის მთელი შინაარსი. დროის მიხედვით, უმთავრესი ყურადღება საველე ქირურგიას მიუქცევია. სხვა მოხსენებათა შორის, მომხსენებელის აზრით, ყველაზედ საინტერესო ყოფილა მოხსენება გაზის ინფექციის შესახებ (პროფესორ პეტროვისა) და მოხსენება დაჭრილ სისხლის მილის გაკერვისა და საზოგადოთ ჭრილობის მოვლის შესახებ (პროფ. საპეჟკოსი).

აღ ანიშნავია, რომ მომხსენებელნი საკმაოდ თავისუფლად და მარჯვედ გადმოსცემდენ თავიანთ საგანს ქართულ ენაზე. ჩვეული არა ვართ სამეცნიერო საგნებზე ქართულ ენის გავარჯიშების და ამიტომ პირველსავე შემთხვევაში აზრის გაუჭირებლად გამოთქმა სასიამო შთაბეჭდილებასა სტოვებდა. კრება კმაყოფილი დარჩა მოხსენებებით და მათ ავტორებს მადლობა გადაუხადა.

მოხსენებების გათავების შემდეგ თავმჯდომარემ კრებას გააცნო წინადადება კავკასიის სამკურნალო ადგილების მოგვარებისთვის მზრუნველ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარისა შესახებ იმისა, რომ ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებას თავის წარმომადგენლები გამოეგზავნა ხსენებული საზოგადოების მომავალ კრებაზე დასასწრებლად. კრებამ წარმომადგენლობა დააკისრა ექ. ი. ს. ელიაშვილს, ექ. ვ. დ. ღამბაშიძეს და შ. ა. მიქელაძეს.

დასასრულ, კრებამ მიიღო შემდეგი ახალი წევრები: პროფესორი პ. მელიქიშვილი, პროფ. ს. გოგიტიძე, პრივატ-დოცენტი მოსეშვილი, ასისტენტი ანნა მოსეშვილისა, ექიმები: მარიამ უგრელიძე: ვლ. მახვილაძე, მ. მგალობლიშვილი, ბარბარე ივანეს ასული ლომსაურისა, ევგენია თედორეს ასული კვეზერელი-კოპაძისა, ნ. პ. რუხაძე და ბუნების მეტყველნი: ქიმიკოსი კ. ბ. მოდებაძე და ბოტანიკოსი ზაქარია ალექსის ძე ყანჩაველი.

კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

## საეკონომიო ცხოვრება

**შავი ქვის საქმეს ჭიათურაში** გამოცოცხლება დაეტყო. ბევრმა მრეწველმა მადნის ამოღებისა და პლატფორმებზე მიზიდვის მუშაობა განაახლა. წარმოებების გაფართოებას დიდათ აფერხებს ჭიათურაში სურსათისა და საქონლის საკვების ნაკლებობა.

—

**ტყავეულობის გამოსაქნელი ქარხანა ახჩხერეში.** სახჩხერეში ერთ ადგილობრივ მრეწველს განზრახული აქვს ტყავეულობის გამოსაქნელი ქარხნის აგება. ტყავეულობის გამოსაქნელად ერთ ინგლისელ ქიმიკოსს ერთი მცენარე აღმოუჩენია, რომელიც მეტად კარგი გამომდგარა. ეს მცენარე ჩვენს ქვეყანაში თურმე ბლომად მოიპოება. ამ მცენარის საშუალებით უმანქანებოდ გამოქნილი ტყავეულობაც კარგის ხარისხის გამომდგარა.

—

**ჭიათურის გერმანულ** წარმოებებზე, რომელთა ლიკვიდაცია მთავრობას განზრახული აქვს, მუშაობა განახლდა, წარმოება სალიკვიდაციო კომისიის სახელით განახლდა.

—

**უღელტეხილის გზა.** კავკასიის ქედზე საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის შესახებ ამერიკელმა მწარმოებლებმა წინადადება მისცეს მთავრობას. ამერიკელები ჰკისრულობენ გზის დაჩქარებით გაყვანას.

—

**ბაქოს წყალსადენი.** ბაქოში დაასრულეს შოლარის წყალსადენის კეთება. ამ დღეებში წყალიც გამოუშვეს შოლარიდან, მაგრამ მღვრიე იყო და ამიტომ ზღვაში ჩაუშვეს.

—

**ციმბირის ოქრო და ამერიკელები.** ამერიკელი მწარმოებლები დიდს ყურადღებას აქცევენ რუსეთის სიმდიდრეებს. სხვათა შორის, გაფაციცებით იკვლევენ ამერიკელები ციმბირს. ოქროს მძიებელთა მრავალ-რიცხოვანი პარტიები ამერიკელ ინჟენერ-გეოლოგთა დღე და ღამე მუშაობენ ირკუტსკის გუბერნიაში, ამურსა და ჩუკოტის კუნძულებზე ეძებენ. ამერიკელები გაოცებულნი არიან იქაურ მიწების სიმდიდრითა და ჰფიქრობენ, ჩვენის მუშაობის შედეგები დიდს „ოქროს ციებ-ცხელებას“ გამოიწვევს ამერიკაშიო.

—

**საზღვარ-გარეთულის ფულის** სავალდებულო ფასებია—ინგლისური გირვანქა სტერლინგის—14 მან. 40 კაპ. ფრანგულის ფრანკის—52 კაპ.

—

**„პროვოდნიკ“-ის ამხ. კრება.** ხუთს ქრისტეშობისთვეს მოსკოვში საგანგებო კრება მოხდა „პროვონიკ“-ის ამხ. მეპაიეთა. წარმოება რიგიდან 1915 წ. მოსკოვში გადმოუტანიათ, ქარხნები განუხლებიათ ტუბინზე (მოსკოვის მახლობელი სოფელი) და პერესლავლ-ზალესკში. ეხლა ამხანაგობის წარმოება თვეში 4—5 მილიონ მან. უდრის. საქმის გასაფართოვებლად ამხანაგობამ გადასწყვიტა დამატებით გამოსცეს კიდევ ას-ოთხმოცი ათასი პაი, 18 მილიონი მანათის ღირებულებისა. თითო პაი 160 მან. ღირს. ამ თექვსმეტი თუმნიდან ათი თუმანი ძირითად თანხას მიემატება, ხუთი თუმანი სათადარიგოს, ერთი თუმანი საგანგებო სათადარიგო თანხას. პაიების გამოცემის ვადას და ახალ პაიების დივიდენდში მონაწილეობის წესს ამხანაგობის გამგეობა და საბჭო შეიმუშავებს. წინანდელ მეპაიეთა თითო ახალი პაის აღება შეუძლიანთ ყოველ ძველ პაის რაოდენობის მიხედვით.

## წერილები გურიიდან

### მწარე ფიქრები

I

„ყოველ სიკეთესთან ბოროტებაცაა, დიახ, სიკეთესთან ბოროტებაცაა“.
*ქურანი მუჰამედისა.*

მსოფლიო ომის მიერ ნაწვნევი ათასგვარი გაჭირვება, ზედი-ზედ დამშევა, წყალდიდობა, საქონლის ჭირი, სხვა და სხვა მოარული და ბევრი კიდევ სხვა უბედურება გვეგონა საკმაო იქნებოდა, რომ ყურიდგან ბამბის ძველა გამოგვეღო, დავფიქრებულიყავით და ცხოვრების გაუმჯობესობის სახსარსაშუალება [illegible] თურმე ვცდილობდით [illegible] გამოდგა „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“. თურმე კიდევ მეტი უბედურობა ყოფილა საჭირო ჩვენს გამოსაფხიზლებლად. თუ ეს ასე არაა, მაშ რითი ავხსნათ ის სამწუხარო ამბავი, რომ ჩვენ ისევ ძველებურად განვაგრძობთ ჩვენს ცხოვრებას და მის შეცვლა-გაუმჯობესებას კი არ ვცდილობთ, არამედ უფრო ვიუარესებთ. ყველა ერი ცდილობს მსოფლიოს არ ჩამორჩეს და არც თავისებურობა, საკუთარი სახე, დაჰკარგოს. ჩვენ სულ წინაამდეგ ვიქცევით: გარეგნულად მტერს თვალს ვუყენებთ, ვითომც ევროპიელობთ, ნამდვილად კი ვმაიმუნობთ.

საქართველოს მოწინავე კუთხედ დღეს გურიასა სთვლიან. ჩემი მწარე ფიქრები და გოდებაც გურიას შეეხება. გურული სწავლის მოტრფიალეა, გურული გლეხი უსწავლელ შვილს არ სტოვებს, ამისთვის არას ჰზოგავს, მაგრამ ვაი და ვუი უკუღმართ სწავლას! სწავლა-აღზრდა მთელ რუსეთში უკუღმართად არის დაყენებული და თუ „მამა“-რუსეთს თავის შვილებისათვის ვერ მოუწყვია შესაფერი სკოლები, გერებისათვის (ჩვენთვის) რაღა სახეიროთ მოაწყობს!.. მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევიგენით, ჩვენ ამას ვერ მივხდით, მახეს გვიგებენ და ჩვენ ჩვენისავე ნებით და ჩვენისავე ხარჯით ორივ ფეხით შიგ ვებმით. გვღუპავს მაიმუნური მიმბაძველობა.

ამ ხუთიოდე წლის წინად ეგრედ წოდებული სამოქალაქო სკოლები მთავრობამ გადააკეთა და უწოდა „პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი“. გურიაში სამოქალაქო სკოლა ორი იყო—ოზურგეთსა და ლანჩხუთში. პირველადაც ეს ორი სკოლა გადანათლეს და ეს საკმარი შეიქნა მთელი გურია შეშლილიყო. დიახ, მთელი გურია შეიშალა და ყველას დაემართა პირველ დაწყებით უმაღლესი სასწავლებელის სენი. ეს სასწავლებლები ამ მცირე ხანში გაიხსნა: ჩოხატაურსა, ბახვსა, ხიდისთავსა, შემოქმედსა და სუფსაში. ამათი გახსნაშენახვა სოფლელებს მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ სარგებლობას მოიტანს თუ არა, არავინ კითხულობს. საკმარისი იყო მარტო ის, რომ ერთმა საზოგადოებამ დაიარსა,—მეორემ არ სჭამოს სირცხვილი, არ „მოიჯაყოს“ და მანაც დაიარსოს. საკმარისია ივანემ შვილი—ბიჭი ან გოგო „ვიში ნაჩალნი უჩილიშჩაში“ მისცეს, იმას აუცილებლად მისმა მეზობელმაც უნდა მიჰბაძოს. რას გვიქადის ახალის ტიპის სკოლა, ეგ არავის აინტერესებს, სადაც ერთი, იქ მეორეც, „თხა თხის უარესი მგელმა შეჭამოს“. თხის კი რა მოგახსენოთ, ასე ცხვრებს ემართებათ: საკმარისია ერთი ცხვარი კლდეზე გადაიჩეხოს, რომ მთელი ფარა მას მიჰყვეს, ყველამ კისერი მოიტეხოს. გურულებიც ცხვრის ფარასებ იქცევიან. საბოლოო აზრს ხსენებულ სკოლის შესახებ მე ვერას ვიტყვი, ეგ სპეციალისტების საქმე გახლავსთ, მაგრამ როგორც ყველა რუსულ სკოლას, ისე ამასაც უარყოფითი მხარე (დასაგმობი) მეტი აქვს, ვიდრე დადებითი (მოსაწონი). ჩვენთვის მაინც რომ გამოუსადეგარია, ეგ ცხადია. ამ სასწავლებლის საბოლოო მიზანი ის არის იყო, რომ მასში კურსდამთავრებულმა მოწაფემ შესძლოს საშუალო სასწავლებელში (და შემდეგ უმაღლესში) სწავლის განგრძობა. კეთილი, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, შეუძლია თუ არა ყველა გლეხს შვილი საშუალო სასწავლებელში მიაბაროს? თუ გინდ ერთის წუთით წარმოვიდგინოთ სასწაული, რომ გლეხმა შესძლო. იქნება თუ არა ადგილი საშუალო სასწავლებელში? ცხადია, არა, რადგან მთავრობას საშუალო სასწავლებელთა რიცხვისათვის არ მოუმატებია, ამათში კი წინადაც არ იყო ადგილი და ახლა, როცა ყოველ წლივ გიმნაზიისა და რეალ სასწავლებლისათვის მარტო გურია გაგზავნის ასობით მოწაფეს, მაშინ ხომ სულ აღარ იქნება... დიდი-დიდი ვთქვათ, წელიწადში გურიიდან ქუთაისსა, ბათომსა და ფოთში მიიღონ 10—15 მოწაფე. დანარჩენი „კურსოვნიკები“ სად წავლენ, რა გზას დაადგებიან, რისთვის იქნებიან მომზადებულნი? არაფრისთვის. არც წყალ გაღმა იქნებიან და არც გამოღმა, ივარგებენ მწერლებად და უბნის ზედამხედველებად. ვაი გაცრუებულო იმედო! სოფელს შეეძინება მუქთა-ხორათა ლაშქარი, რუსულ ენაზე მოტიკტიკე, ლაზღანდარა ქალ-ვაჟები. ამ სკოლებს რომ ჩვენი გადაგვარება, ენის შებღალვა და სხვა ზნეობრივი სილატაკეც თან ახლავს, ეს ახლაც აშკარაა,—ამის უტყუარ ნიშნებს ახლაც ვხედავთ და განვიცდით.

ჩვენ გვჭირია სულ სხვა სწავლა, სულ სხვა ჯურის სკოლები: სამეურნეო, ტეხნიკური, სახელოსნო, საკომერციო. ხსნა მხოლოდ ამ სკოლებს შეუძლია, სხვა გვარი სკოლები კი ჩვენის ქვეყნის მტრებს გაგვიზრდის და არა მოკეთებს.

ამ რამოდენიმე წლის წინად ოზურგლები ფიქრობდნენ (ამ ახირებულ ფიქრს არც ეხლა იშლიან) დაეარსებინათ გიმნაზია ან რეალი სასწავლებელი; ეს უნდა მომხდარიყო მთელის გურიის ხარჯით. ერთ კრებაზე ერთმა ასკანელმა გლეხმა საშუალო სასწავლებლის დაარსების მოტრფიალე ორატორს მწარე ირონიით უთხრა:

— ბატონო, ძლიერ კარგია უმაღლესი სწავლის მიღება, მაგრამ ჩვენ რომ გიმნაზია დავაარსოთ, თქვენ, ნასწავლები, წაგებთ, გამრავლდებით და ჩვენ უსწავლელები ყველას ვერ გარჩენთო.

როგორც ხედავთ, გლეხიც კი ხედავს, რომ დღევანდელი „ნასწავლი" მისი (გლეხის) სარჩენია. რატომ უნდა იყოს ეს ასე, იმიტომ რომ დღევანდელი სკოლა იმ სწავლას არ იძლევა, რაც ცხოვრებაში საჭიროა; ნასწავლი ან მოხელეა (ჩინოვნიკი), ან უსაქმოდ არის, ორივე კი სოფელმა უნდა არჩინოს.

დროა ჩვენც გონს მოვიდეთ. უმჯობესია, შვილს წერა-კითხვა ვასწავლოთ, სოფლის სკოლის სამი განყოფილება გავათავებინოთ და მერე თოხი მივსცეთ ხელში და გვერდში ამოვიყენოთ, ვიდრე აღვზარდოთ რუსის მთავრობის მოხელე, ან მუქთად მოხეტიალე—სოფლის პარაზიტი. სკოლების დაარსებას თუ შევძლებთ, უნდა დავაარსოთ ისეთი სკოლა, რომელიც აღზრდის მარჩენალს და არა სარჩენს. დღევანდელი სკოლა კი „ალმა ხნავს და დალმა ფარცხავს" და ჩვენ ის პურს ვერ გვაჭმევს.

აპ. წ—ძე.

# საკოოპერატიო მოძრაობა

**ს. ბაზალეთი** (დუშეთის მაზრა)

1915 წ. პირველ მკათათვიდან ბაზალეთის საზოგადოებამ დაიარსა მომხმარებელი საზოგადოება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მღვდ. მ. ვ. მოლოდინი. როგორც უკვე იციან მკითხველებმა, 1916 წ. 18 იანვრამდე წმინდა მოგება დარჩა საზოგადოებას 908 მ. 94 კ. მხოლოდ ამ წლისათვის შემდეგი გამოარკვია სარევიზიო კომისიამ საზოგადო კრებაზედ მოსახსენებლად, 13 იანვარს 1917 წ. სარევიზიო კომისიაში მონაწილეობას იღებდა ინსტრუქტორი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა ბ. შალვა გოგებაშვილი. მაღაზიაში აღმოჩნდა საქონელი გასასყიდის ფასით 16,537 მან. 08 კ. საზოგადოების წიგნებიდან კი სჩანს, რომ საქონელი უნდა ყოფილიყო 17,533 მ. 22 კ. როგორცა სჩანს ამ ციფრებით, საქონელს დაჰკლებია 996 მ. 14 კ. კომისიამ ჩასთვალა საპიროდ ეპატიებინათ ნოქრისათვის 641 მ. 1% და დანარჩენი 355 მან. 14 კ. დაედო ნოქრებს. კასაში აღმოჩნდა ფული ნაღდათ 3,145 მ. 62 კ. საწარმოეო წიგნებიდან აღმოჩნდა შემდეგი ბალანსი.

საზოგადოების აქტივი:

| | | |
|---|---|---|
| კასა . . . . . . . | 3145 მ. | 62 კ. |
| საქონელი გასაყიდ ფასით. . . . . . | 16892 „ | 22 „ |
| საპაიო ფული ამიერ კავ. მომ. საზ. კავშირში. . . . . | 300 „ | — „ |
| საპაიო ფული თბილისის კოოპერატიულ სასტილოში. . . | 10 „ | — „ |
| ქონება მოძრავი . . | 531 „ | 12 „ |
| უძრავ ქონებათა შესაძენად მიცემული ბე. . . . . | 1880 „ | 89 „ |
| ს უ ლ . . . . | 22759 მ. | 85 კ. |

პასსივი:

| | | |
|---|---|---|
| საწევრო თანხა . . | 4500 მ. | — „ |
| სათადარიგო თანხა . | 1147 „ | 85 „ |
| შესანახად მიბარებული ფული . . . | 7946 „ | — „ |
| წმიდა მოგება 1916 წ. | 5543 „ | 18 „ |
| ს უ ლ . . . . | 22759 მ. | 85 კ. |

აღსანიშნავია შრომა და უნარი გამგეობისა, რომელსაც პატარა ძირითად თანხით (4500 მ.) წლის განმავლობაში გადაუბრუნებია 50048 მან. 82 კ. საქონელი კი და საერთო ბრუნვა ყოფილა 173997 მ. 36 კ. აღსანიშნავია ის სასურველი მოვლენაც, რომლისათვისაც გამგეობას ყურადღება მიუქცევია საკულტურო საგანმანათლებლო საქმისათვის, შეუძენია ადგილობრივ სკოლისათვის სამოსწავლო ნივთები, იწერენ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა. იძენენ მამულებს, რომლის ბეთაც 600 დღიურ მიწისათვის შეუტანიათ საგლეხო ბანკში 1880 მ. მთელის წლის განმავლობაში მთელი შემოსავალი საქონელზედ დადებულ ფასებიდან და უკან დაბრუნებული პროცენტები ყოფილა 13613 მ. 60 კ. ხარჯები კი 8070 მან. 42 კაპ. წმინდა მოგება, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, ყოფილა 5543 მ. 18 კ. ასეთი მოგება, როგორც სარევიზიო კომისიის ოქმიდან სჩანს, აიხსნება იმით, რომ გამგეობას საკმარი ჯამი გადაუტრიალებია, ხოლო მეორე მხრივ გამგეობას ფასების დადების დროს ზოგჯერ დიდი პროცენტებით უსარგებლიათ. გარდა ამისა, საზოგადოებას სხვა საქონელთა შორის შეუძენია ღვინო, რომელსაც დიდი სარგებელი მიუცია.

14 იანვარს კი მოხდა საზოგადო კრება, კრებას დაესწრო 83 კაცი და 37 ქალი, წევრები. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დუშეთის მაზრის ექიმი ბ. ა. ბერიაშვილი, მდივნად ბ. გ. მაისურაძე. დაესწრნენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი ბ. შ. გოგებაშვილი და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა. ინსტრუქტორის, რომლის ხელმძღვანელობით შესდგა ანგარიში, მოხსენების შემდეგ, კრებამ დაწვრილებით განიხილა და დაამტკიცა წარსულ საოპერაციო 1916 წ. ანგარიში. შემდეგ კრებამ გაანაწილა წმინდა მოგება ასე:

| | |
|---|---|
| სათად. თანხისათვის 10% | 554 მ. 40 კ. |
| უძრავ ქონების შესაძენად | 4000 მ. |
| ადგილობრივ სკოლის სამოსწავლო ნივთებისათვის | 100 მ. |
| კულტურულ განმანათლებელ ფონდის შესაქმნელად | 150 მ. |
| ამიერ კავ. მომ. საზ. კავშირის ჟურნალის ფონდისთვის | 50 მ. |
| ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის | 100 მ. |
| ჯილდოთ გამგ. წევრთ. | 100 მ. |
| დუშეთის ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილებისათვის | 50 მ. |

კრებამ დაადგინა წევრთა მიერ თუმანზე ზედმეტი შემოტანილი ფული გადაეწეროს მობარებულ ფულში და მიეცეს წმინდა მოგებიდან 10 პროცენტი, ხოლო ამა წლიდან უვადოთ შემოტანილს 6 პროც., ხოლო ვადით 8 პროცენტი. შემდეგ კრება გადავიდა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზედ. მოსალოდნელი საქონლის ბრუნვა 75000 მ. და ამის მიხედვით ნავარაუდევია შემოსავალი 7500 მანეთი.

| | |
|---|---|
| ხარჯები: ბინის ქირა . | 100 მ. |
| გათბობა, განათება . . | 50 „ |
| საკანცელიარო ხარჯები | 100 „ |
| ჟურნალ-გაზეთებისათვის | 60 „ |
| სარგებ. მობარ. ფულისა | 300 „ |
| სამგზავრო ხარჯები . . | 100 „ |
| ნოქარს ჯამაგირი . . | 600 „ |
| ხუთ მის თანაშ. ქალს . | 1200 „ |
| კასირს . . . . . . . | 600 „ |
| ანგარიშთა მწარმოებ. . | 1200 „ |
| გამგ. წევრს-მეთვალყურ. | 600 „ |
| გამგეობის წევრებს კრებაზედ დასასწრებლად | 300 „ |
| წმინდა მოგება . . . | 1490 „ |

სხვათა შორის კრებამ დაადგინა, თანახმად მომხსენებლის ბ. გოგებაშვილისა, მიიღოს ზომები, რომ ადგილობრივ კოოპერატივების წარმომადგენლების რაიონული კრება მოხდეს ამგვარ კავშირის დასაარსებლად და მეორე, შეიძინოს საზოგადოებამ ორი აქცია მოსკოვის სახალხო ბანკისა.

დაბოლოს კრებამ დიდი მადლობა უძღვნა გამგეობის წევრებს და განსაკუთრებით თავმჯდომარეს მღ. მოლოდინს, თვის თავ-დაუზოგველ უანგარო შრომისათვის. მართლაც გამგეობის ყველა წევრს ეტყობა დიდი ხალისი და ერთმანეთის ნდობით ერთად მოქმედება.

სასიამოვნო მოვლენაა ისიც, რომ საზოგადო კრებაზედ დაესწრნენ მანდილოსნებიც და კაცებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაზედ. აგრეთვე აღსანიშნავია ნოქრის ხუთ თანაშემწის, პატარა ქალების მუშაობა მაღაზიაში, რაიცა ჩვენში იშვიათია.

ვეფხვი.

# არტაანის ქართველ-მაჰმადიანები

(დასასრული)

ქრისტეშობისთვის 9 გავემგზავრე ს. ქერმანში (არტაანის ნაწილი) მცხოვრებ ქართველ-მუსულმანთა ცხოვრების გასაცნობათ. მათი მდგომარეობა ენით გამოუთქმელია და კალმით აუწერელი. სულ ამ სოფელში ყოფილა ქართველ-მაჰმადიანები, როგორც თვითონ ამბობენ, 70 კომლი. არტაანში თათრის ჯარის შემოსვლამდე და გასვლის შემდეგაც მრავალი მამაკაცები დაუხოცნიათ ციმბირის ყაზახებს, სომხების მოხალისეებს და არტაანის „ოპორნი პუნკტის" ჯარის კაცებს, ვინც გადარჩენილან ცოცხალი, გაქცეულან სხვა და სხვა ადგილას. მთელი თავიანთი საცხოვრებელი კი აქ დარჩენიათ, რადგანაც, არამც თუ ბარგის წაღება, თავიანთ პატარა შვილების წაყვანასაც ველარ ახერხებდენ თურმე. მთელი მათი ქონება და ავლა-დიდება დაუტაცნიათ ს. ურუთელ (გელის ნაწილი, არტაანის ოლქი) სომხებს, ს. მიხაილოვის რუსებს (სამი ვერსით ახლავს ს. ქერმანს), ბადათელ ბერძნებს (ერთი ვერსით ახლავს ს. ქერმანს), ს. ნიკოლაევკის მალაკნებს (ხუთი ვერსით ახლავს ს. ქერმანს) და არტაანელ სომხებს და ბერძნებს. ბევრის სახლებიც დაუნგრევიათ, რაც ამათ დანგრევას გადარჩენიათ, ის მთავრობას დაუნგრევია და შეშათ წამოუღია და როცა ქერმანელები დაბრუნებულან (სამი-ოთხი თვეა, რაც დაბრუნდნენ) სახლები დანგრეულები უნახავთ, მაგრამ რას იზამდნენ; ტალახით, ქვებით შეუკეთებიათ და ცხოვრობენ სრულიად შიშველ-ტიტველნი, უსაგებ-უსახურავოთ, მშიერ-მწყურვალნი, ღვთის ანაბარათ დაგდებულნი. ყველას შველასა სთხოვენ, მხოლოდ ფულით არა პურით, საცვლებით. ადამიანს, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, ქვის გული უნდა ჰქონდეს, დაინახოს ქერმანელი ტიტველი ბავშვები, ქალები, კაცები და ძალა-უნებურად არ ამოიოხროს მათი მდგომარეობის დანახვაზე და უხვათ დახმარება არ აღმოუჩინოს. განსაკუთრებით ქერმანელი ქალების სილამაზე განირჩევა არტაანის ოლქის სხვა სოფლების ქალებისაგან. მიუხედავად ამისა, რომ თითქმის ტიტველ-შიშველნი არიან და თუ ვინმე მათგანს სრულიად დაფარული აქვს ტანი, ისიც ჰუჰყიანი ძონძებით, ადამიანს ხიბლავს მათი ლამაზი ქართული პირის სახე, რომელიც მორცხვათ და ნაზად გამოსჭვივის დახეულ-დაფლეთილი თავსახვევიდან. სჩანს, ძრიელ შეშინებულები არიან, რადგანაც სოფელს მივუახლოვდი თუ არა, ყველანი სახლებში დაიმალნენ და შიშით აკანკალებულნი გარედ გამოსვლას ველარ ბედავდნენ. ორ საათამდე ვიცადე, ბოლოს ერთი კაცი გამოვიდა. მოვიხმე ჩემთან და აუხსენი ჩემის მისვლის მიზეზი, მითხრა: ამ სოფელში სულ 7 კაცი დარჩა, დანარჩენი დახოცეს, ქალებს ეშინიანთ და იმალებიან უცხო კაცის დანახვაზე, რა ვიცით, რა განძრახვით მოდისო და აცნობა ყველას ჩემი მისვლის მიზეზი. მალე ყველა სახლების კარები გაიღო, გამოვიდნენ გარედ ბავშვები, ქალები, შემომეხვივნენ და შველასა მთხოვდნენ. ბევრ მათგანს ჩემი ჯიბიდან ფულები მივეცი, თითქმის არც კი იღებდნენ: ჩვენ ფული არ გვინდა, მოგვეცით პური, გვშიან, ჩაგვაცვით, გვცივა, მიხედეთ ალლახს, ისიც თქვენ მოგხედავთო, იხვეწებოდნენ.—აქ, ჩვენთან იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ-ნი ჩხენკელი, დაგვპირდა შემწეობას, მაგრამ ჯერ არა მიგვიღია რა. თქვენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ მოგვაწოდეთ პური, შიმშილით ვიხოცებით, ზამთარია, გვცივა და აი როგორ დავდივართო,—იხვეწებოდენ,—ამბობენ, ჩვენები ძველად ქართველები იყვნენ და ეხლა კი თათრები ვართო. თავიანთი გვარი არავინ იცის, რადგანაც მამაკაცები და ნამეტნავად მოხუცებულნი დაუხოცნიათ და რომელიც გადარჩა, ათასნაირ ავათმყოფობას მოუკლავს. აი ამათს შესახებაც შეკრებილი ცნობები:

1) სულეიმან ოღლი 40 წლისაა, ცოლიანია, სამი ვაჟი ყავს: ათამ 12 წლისაა, იდრისი 10-ისა, სარი 7-ისა. ათამ და იდრისი უდეში სწავლობენ. 2) რუსთან მამედ-ოღლი 25 წლისაა, ცოლიანია. შვილები არა ყავს. ორი ძმის ობლებს არჩენს: ნაზიმი 8 წლისაა, ბეგიაზად 4-ისა. სკოლაში და თავშესაფარში აძლევს, თუ გაიხსნება. 3) ცოლი და ობლები აზიზ მამედ ოღლისა: ფანთუშა, დედაა, 40 წლისა, ორი ვაჟი და ორიც ქალი: ერთი 12 წლისაა, მეორე 9-ისა, გოგოები: გულგაზ 10 წლისაა, გულნაზი 7-ისა, ყველას აძლევს სკოლაში. 4) აჰმზია მოკლუდ-ოღლი 30 წლისაა, ცოლი მისი გმინთა 16 წლისაა, ვაჟი მისი ალი 6 წლისაა, ბებიასთან არის ს. ნაქალაქევში. 5) ქვრივი ისმაილ სულეიმან ოღლისა თუქიასი 50 წლისაა, ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს: ბიჭები: ამრახ 9 წლისაა, გეისა 5-ისა, გოგოები: სალვერი 15 წლისაა, მეორე 13-ისა და გუჯარნაზი 10 წლისა. სკოლაში ყველას აძლევს. 6) ქვრივი შაჰან ალი ოღლისა—25 წლისაა, სამი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს: ვაჟი ზაქარი 9 წლისაა, იალია 7-ისა, ზაქარია 3-ისა, ქალები: გულარ 10 წლისაა, ნაზი 8-ისა, ყავს ქმარის დედა—სონა 50 წლისაა. ზაქარია ბაქოელ კაცს წაუყვანია, დედა ტირის, არ იცის რა მდგომარეობაშია მისი შვილი. ნაზი და იაილია უდეს ქართულ სკოლაში სწავლობენ. სონას ერთი ვაჟი ჰყავს, 12 წლისაა, სამი გოგო: რუსსადა 22 წლისაა, ქვრივია, შვილები არა ყავს). ჰურაზად 9 წლისაა, მეორე 5-ის. მალე ყველანი უდედან ჩამოვლენ და აქ მისცემენ სკოლაში და თავშესაფარში. 7) ქვრივი თეფო ფაშა ოღლისა—ადია 28 წლისაა, ერთი ბიჭი და ორი გოგო ყავს: ზაქო 6 წლისაა, გოგოები: ნაზელი 8 წლისაა, მაზვერა 4-ისა. ნაზილს აძლევენ სკოლაში აქ, თუმც ორივე უდეს სკოლაში სწავლობენ. 8) ქვრივი ფახლურ შაბან ოღლისა—სონა 40 წლისაა, სამი ვაჟი და ორიც გოგო ყავს. ბიჭები: მუსთაფა 15 წლისაა, შაჰან 9-ისა, ქიჰან 5-ისა, გოგოები: მალაქი 11 წლისაა, კამათია 4-სა, მალაქი და შაჰან უდეში სწავლობენ, სამი მასთან არის, სამივეს აძლევს თავშესაფარში და სკოლაში.

9) ისკანდერ ფაჰამ-ოღლი 50 წლისაა, ცოლიანია, ორი ბიჭი და ორი გოგო ჰყავს. ბიჭები: რაფის 6 წლისაა, მეორე 6 თვისაა, გოგოები: ადლიბან 12 წლისაა, გულთანა 8-საა, გოგოები უდეს სკოლაში სწავლობენ.

10) რაზას ქიამილ-ოღლი 24 წლისაა, ცოლიანია, ერთი ბიჭი 6 თვისა ჰყავს. მისი ძმა ფართალ 10 წლისაა (უდეს სკოლაში სწავლობს), მეორე 8 წლისაა, ორი გოგო ჰყავს: ხუბათი 15 წლისაა, ხალი 12-სა. ყველას სკოლაში აძლევს.

11) ძმა რაზახასი-აბასი 30 წლისაა, ცოლიანია, ერთი გოგო და ორი ბიჭი: ფოლად 4 წლისაა, ნამეზ 6 თვისაა, გოგო ბადირ 6 წლისაა.

12) შამო რუსთამ-ოღლი 50 წლისაა, ცოლი თუნთულა 40 წლისაა, სამი ბიჭი და ოთხი გოგო ჰყავთ. ბიჭები: ზუარ 12 წლისაა, ზაქო 8-სა, რეის 4-სა, გოგოები: შაჰრი 11 წლისაა, ფამბე 9-სა, ყადრია 7-სა და ბადირ 6-სა. ობლები შამოს ძმისა, ერთი ბიჭი და ერთი გოგო: ნაზირი 10 წლისა და ხეირა 8-სა. ხუთი მათგანი უდეს სკოლაში სწავლობს, დანარჩენი დედასთან არიან. ორს აძლევს სკოლაში.

13) ალო მუსთაფ-ოღლი 35 წლისაა, ცოლიანია. შვილი არა ჰყავს.

14) მსთო მახო-ოღლი 37 წლისაა, ცოლიანია, ორი ბიჭი ჰყავს: ილთაზ 6 წლისაა და ზაქარია 4-სა.

15) ქვრივი ახმედ მახო ოღლისა-ჰიდიად 30 წლისაა. ორი ბიჭი 7 წლისაა, მეორე 5-სა, გოგოები 13-სა. ყველას აძლევს თავშესაფარში და სკოლაში.

16) ლითვარი ალი-ოღლი 30 წლისაა, ცოლიანია. შვილები არა ჰყავს, ძმის ობლებს და მათ დედას არჩენს. დედა სეათ შარიფ-კიზი 35 წლისაა, ერთი ბიჭი და ერთი გოგო ჰყავს, ბიჭი შაეყი 10 წლისაა, გოგო 4-სა. სკოლაში აძლევს. ყველანი თხოულობენ უდედან მათი შვილების არტაანში გადმოყვანას.

**შენიშვნა:** ცოტათი შეძლებული ნიშნავს, ვისაც ერთი ან ორი ძროხა ჰყავს და ორი სამი ფუთი ქერის ფქვილი აქვს, აგრეთვე საწოლი ეშოვნება. ყველა ამათვის თუ საშუალება იქნება, შემწეობის მიცემა საჭიროა.

ქ. ოდიშარია.

# წერილი რედ. მიმართ

**ბ-ნ გ. მუმლაძეს**

(ღია წერილის საპასუხოდ)

თქვენ ორ წელიწადზე მეტს მსახურებდით ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბუჰგალტერად.

თქვენგან მართებული იქნებოდა, თუ რაიმე ბოროტ-მოქმედებას ხედავდით ბანკში ჩვენთვის—სარევიზიო კომისიისათვის—მაინც გეთქვათ, მადლობელი დაგრჩებოდით.

რაც აქედან წაბრძანდით, მხოლოდ მერე და ისიც ფსევდონიმ ამოფარებულმა ინებე ბანკის საქმეების განქიქება, ამტკიცებდით: ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ა. გ. კალანდაძე და მოლარე ბ. დ. მურვანიძე ბანკის საზარალოდ მოქმედებენო. თქვენმა წერილმა ბანკის წევრები აღაშფოთა, პრესას ანგარიში გაუწია და მოითხოვეს საქმის გამოძიება, არაჩვეულებრივი საზოგადო კრების მოწვევა. ჩვენ სარევიზიო კომისიის წევრებმა თქვენი წერილის მიხედვით საქმე ვიძიეთ: ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერაფერში ბრალი ვერ დავდევით. ჩვენი დასკვნა წარვუდგინეთ ბანკის უმაღლეს დისტანციას—საზოგადო კრებას, რომელმაც თავის მხრით კიდევ იქონია მსჯელობა და არამც თუ არ დაგმო კალანდაძე—მურვანიძის საბანკო მუშაობა, არამედ მოიწონა და სრული ნდობა გამოუცხადა ორივეს. თქვენ კარგად იცოდით, რომ საზოგადო კრებას თქვენი წერილი უნდა გაერჩია; თქვენივე ინტერესები მოითხოვდა, თუ კი რამ თქვენის წერილებია დასასაბუთებელი ფაქტები ხელთ გქონდათ, ან ჩვენთვის ან საზოგადო კრებისათვის წარმოგედგინათ, მაგრამ არც ეს ინებეთ. ახლა კი დ. პ. გაზ. „საქართველოს" მეექვსე ნომერში ჩვენც (სარევიზიო კომისიის წევრებს) და საზოგადო კრებასაც გვისაყვედურებთ და მიკერძოებას გვწამებთ. ახირებული ბრალდებაა! გამგეობის თავმჯდომარე და მოლარე თუ ბოროტებას რასმე სჩადიან, ამით ხომ ისინი ბანკს ღუპავენ, და ნუ თუ ჩვენივე საქმის დაღუპვა გვინდა!? გარწმუნებთ, ბ-ნო გიორგი, ქურდებსა და ბოროტმოქმედების ჩამდენთ კომერციული დაწესებულება კი არა, უბრალო სოფელი არ იტანს.

თქვენი ბრალდება მეტის მეტია; გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი საბუთები, მაშინ ჩვენ შეძლება გვექნება საზოგადო კრებას (თებერვალში მოიწვევენ). გავაცნოთ ყოველივე. ამას მოითხოვს ჩვენი მოვალეობა და ბანკის ინტერესები. თუ თქვენ ამას არ ინებებთ, მაშინ თქვენი ბრალდება ცილისწამება იქნება და ჩვენ არც პასუხს მოგცემთ.

სარევიზიო კომისიის წევრები:

ხ. გ. თაყაიშვილი.

იაგორ ო. ლომინაძე.

# შემოწირულებანი

თბილისის კოოპერატიული საზოგადოება „შრომის" დამფუძნებლებმა: გბ. შ. რატიანმა, გ. კონდახჩევმა, გ. მარშანიამ, ა. შახვალიადოვმა და ა. არზრუმანოვმა შემოიტანეს საზოგადოების კასსაში, საზოგადოების თანხის გასაძლიერებლათ, 1980 მანეთი. ეს ფული დარჩა მოგებად 13 ვაგონ ქატოს, ქერსა და სიმინდს, რომელიც იმათ გაყიდეს თბ. ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ინსპექტორის ბ. შავერდოვის მინდობილობით საზოგადოების სასარგებლოთ.

საზოგადოება „შრომის" გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს ზემო ხსენებულ პირთ ასეთ დახმარებისათვის.

საზოგადოება „შრომის" გამგეობის თავმჯდომარე **ს. ქვარიანი.**

—

ახალციხის საპატიმროსთან არსებულ სკოლას მიაწოდეს:

ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზოგადოების მთავარ გამგეობამ 16 მან. 50 კაპ.—სახელმძღვანელოები.

ბორჯომელ ვაჭრებმა მიხეილ ივანეს ძე ქიმერიძემ და ვლადიმერ ალექსანდრესძე მოისეევმა საკანცელარიო ნივთები.

დ. ჭიათურაში მცხოვრები ქალბატონ ვერა ღულაძის ქალმა და პლატონ ო[illegible] ნაცნობ-მეგობართა შორის შეგროვილი 12 მ. 40 კაპ.

ვასილ ადამის ძე ხმალაძემ 8 მანეთის სახელმძღვანელოები.

ნაფიც ვექილმა ბ-ნმა იოსებ კ. მაჭავარიანმა 15 მან. ფულად.

დავ. ცერცვაძემ გაზეთ „თანამედროვე აზრში" მოწოდება დაბეჭდა.

ყველას გულწრფელ მადლობას ვსწირავთ.

პატიმართა მინდობილობით

**თინათინ ვ. ხმალაძისა.**

—

პატივისცემით გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ.ბ. ალ. შართავას, ივ. ხოსიტაშვილს, ლევ. მამულოვს, კონსტ. ქვლივიძეს, დავ. შიოშვილს და ვლ. ესკინს საგარეჯოს წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის „საქართველო"-სი, „სახალხო ფურცელი"-სა „თანამედროვე აზრი"-ს, „Закавказская рѣчь"-ის „Русская воля"-ს და „განათლები"-ს გამოწერისათვის.

სამზრუნველოს თავმჯდომარე

**დ. მაისურაძე.**

—

გარდაცვალებულის თანამოსამსახურის—ამხანაგის ნესტორ კ. წულეისკირის გვირგვინის მაგიერ თბილისის საფიზიკო ობსერვატორიის მოსამსახურენი თავიანთ შორის შეგროვილ სამოც მანეთს (60 მ.) სწირავენ ახლად დაარსებულის ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლათ.

მოსამსახურეთა მინდობილობით წევრი ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებისა

**აკაკი ნაფეტვარიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდარ ზანზიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**ტფილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |


# 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

# „ნაკადული"-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ ბავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—14)

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მესხელიშვილები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვილ**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოხნი**" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კაანდაძისა, გაზაფხულის შესახვევი № 4